ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 8 იანვარი, 2018 №5 (7550) ფასი: 50 თეთრი

საშობაო ეპისტოლე

გვ.4

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა

28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი

რაზე გაურიგდა „ქართული ოცნება“ ასლან აბაშიძეს

ნატო იმნაძე: „ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმეს სტრასბურში გავასაჩივრებ“ გვ.3

კახა კუკავა: „პროკურორებს სააკაშვილის წინააღმდეგ წასვლა არ სურთ“

გვ.2

ლევან ალაფიშვილი: „არ გამოვრიცხავ, სააკაშვილის ექსტრადირების პროცედურა ხელახლა დაიწყოს“

გვ.5

უკრაინაში ქართველ სამხედროებს ავიწროებენ და დეპორტით ემუქრებიან

„ქართულმა ლეგიონმა“ საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე უარი თქვა გვ.3

სამართალი

კასპში ავარიას 11 წლის გვ.7 ოზურგეთელი ბავშვი ემსხვერპლა

ქუთაისის ცენტრალურ ბაღში გვ.5 ქურნალისტი გულის შეტევით გარდაიცვალა

ყალბი დოკუმენტის, ბეჭდისა და შტამპის დამზადება-გასაღების ბრალდებით ორი პირი დააკავეს გვ.7



ეკონომიკა გვ.6

ეკონომიკის სამინისტრომ კომუნიკაციების კომისიისგან „მაგთიკომის“ შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა

მატარებლის ბილეთის ღირებულება

რა შემთხვევაში დაგიბრუნდებათ

როგორ აწესრიგებს კანონი შვილებს შორის წარმოქმნილ ქონებრივ დავას

ISSN 1987-9385

10 ვანის ქვაბებში „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ნიმუში გაანადგურეს

11 ალილოზე ბავშვებისა და მოხუცებისთვის საჩუქრები შეგროვდა

5 ოპონენტები ხაჯიმბას სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ

7 ვახტანგ მაისაია: „პანკისში სპეცსამსახურებმა შეცდომა დაუშვეს“

„პროკურორებს სააკაშვილის წინააღმდეგ წასვლა არ სურთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

კახა კუკავა: „ისინი ქვეყანაში ცვლილებებს ელოდებიან“

– ბატონო კახა, გირგვლიანის საქმეზე საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მოვისმინეთ სხვადასხვაგვარი შეფასება. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ეს სასჯელი მცირეა. ნაწილის აზრით, ქვეყნის იმიჯი შეილახა, პრეზიდენტს კონსტიტუციურ უფლებას უზღუდავენ და ასე შემდეგ. რას იტყვით თქვენ?

– მე ვისმენ ამ განცხადებებს და ყველა მხარე ცოტ-ცოტა რაღაცაში მართალია, ოღონდ, როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, ყველა ლაპარაკობს სიმართლის იმ ნაწილს, რომელიც თვითონ აწყობს. მთლიანობაში კი სრულ სიმართლეს ერიდება ყველა ის, ვისაც ტელევიზიაზე ხელი მიუწვდება. საქმე რაშია? პირველი – არ ვიზიარებ იმას, რომ კონსტიტუციასთან რამე წინააღმდეგობაში მოდის განაჩენი.

– განსხვავებული შეხედულება გაქვთ?

– დიახ, იმიტომ რომ ტყუის ის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ სააკაშვილი შეწყალების გამო გაასამართლეს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლება წესიერად ვერ ახერხებს ახსნას, სინამდვილეში რა ედება ბრალად მიხეილ სააკაშვილს.

– რეალურად რისთვის გაასამართლეს?

– სინამდვილეში ის კი არ ედება ბრალად, რომ გირგვლიანის მკვლელები შეიწყალა. ეს რომ დაებრალებინათ, რა თქმა უნდა, არაკონსტიტუციური იქნებოდა. მას ბრალად ედება ის, რომ წინასწარ შეჰპირდა ამ შეწყალებას. მე არ ვიცი, იურიდიულად შეიძლება საქმეში მართლაც ბევრი ხარვეზია. ჩვენი პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეზე თავს ნამდვილად ვერ დავდებ, მაგრამ არსებითად ხომ ვიცით, რაც მოხდა?! რა, არ ვიცით, რომ იმ ადამიანებს ხელს აფარებდა ხელისუფლება, არ იძიებდა და მერე სასათბურე პირობებში ჰყავდათ?! სწორედ ამ კონტექსტში იყო ეს დაპირებაც გაკეთებული და ეს ყველაფერი იყო იმ კონტექსტში, რომ მკვლელებს ხელისუფლება ხელს აფარებდა. აი, ეს არის დანაშაული, თორემ, დანაშაული რომ მომხდარიყო და მერე ხელისუფლებას ახლობლობითა და ნათესაობით შეეწყალებინა დამნაშავე, ეს იურიდიული დანაშაული არ იქნებოდა.

– აბა, რა იქნებოდა?

– ეს იქნებოდა ამორალობა, პოლიტიკური შეცდომა, მაგრამ, ვიმეორებ, იურიდიული თვალსაზრისით დანაშაული აქ არის არა შეწყალება, არამედ შეწყალების დაპირება, კონტექსტში იმ სხვა მოქმედებებთან, რომელიც იყო სასათბურე პირობების შექმნა და წინასწარი გარიგება, დაგიჭერთ, მაგრამ მალე შეგიწყალებთო. ეს არის სიმართლის ის ნაწილი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები თვალს არიდებენ. ბევრ ნაციონალს ვიცნობ და მათ გასაგონადაც ვიტყვი, რომ ამ გაუმართლებლის გამართლებები ჩიხში შეიყვანს მათ, თვითონ ამ მოძრაობისთვისაა ცუდი. გამოხვიდე და ამტკიცო, რომ გირგვლიანის საქმეზე დარღვევა არ მომხდარა, ეს ამორალურია. რომ ამტკიცებ, მე არ მომიკლავს, შემომაკვდაო, ეს მეტ გაღიზიანებას იწვევს საზოგადოებაში.

– ეს საქმე პოლიტიკურად მოტივირებულიაო. ასეა?

– ამ მტკიცებას ვეთანხმები. რა თქმა უნდა, ეს საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკურად მოტივირებულია. ეს არის პოროშენკოსა და ივანიშვილის გარიგების შედეგი. სააკაშვილს მილიონი ბრალი აქვს წარდგენილი. გვახსოვს, 2013 წელს გამოცხადდა მასზე ძებნა და მას შემდეგ არცერთი სასამართლო არ დაწყებულა და არავის გახსენებია. დღეს ივანიშვილი ამას, რა თქმა უნდა, პოროშენკოსთან შეთანხმებით აკეთებს, იმიტომ რომ ისინი სააკაშვილზე ზეწოლის სხვადასხვა ვერსიას ამუშავებენ და ერთ-ერთი მათგანი არის ის, რომ თუ უკრაინაში არ გამოვიდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამა თუ იმ მიზეზით, საქართველოში მაინც გამოვიდეს.

– ითქვა, რომ შესაძლოა სწორედ ეს განაჩენი გახდეს სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების მიზეზი. ასეა?

– დაიწყება თუ არა, ეს კიდევ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. საქართველოც და უკრაინაც ამ თამაშში პაიკები არიან. სავარაუდოდ, ორივეს მოუწევს, მოცემულ მომენტში დაემორჩილოს ვაშინგტონიდან მოსულ დირექტივებს. თუმცა ისინი მზად უნდა იყვნენ ყოველი შემთხვევისთვის, ვაიდა დაგვჭირდეს, ვაიდა შესაძლებლობა მოგვეცეს, სააკაშვილი საქართველოს გადავცეთ. ეს კეთდება ამის გამო და ამის მტკიცებულება ის არის, რომ „ქართული ოცნების“ მომხრეებს შუბლზე ძარღვი არა აქვთ, ჯიგარი არა აქვთ თუ რა ჯიშის ხალხია საერთოდ!

– მათთან რა პრეტენზიები გაქვთ?

– როცა გირგვლიანის საქმეს ახსენებენ სააკაშვილთან მიმართებით და ლევან მურუსიძე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ჰყავთ, მე იურისტი ვარ და, როგორც იურიდიული, ისე მორალური თვალსაზრისთ არსებობს ასეთი ცნება – თანამონაწილეობა. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც თავის დროზე მთელი ნაციონალური მოძრაობა, გირგვლიანის მკვლელობის თანამონაწილეა. როცა მკვლელს, მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და ხელისშემწყობს მაღალ თანამდებობაზე ნიშნავ, რა, ეს თანამონაწილეობა არ არის?! უნდა გვესმოდეს, რომ სააკაშვილთან ერთად ამ საბრალდებო სკამზე უნდა ისხდნენ ბიძინა ივანიშვილიც, ლევან მურუსიძეც...

– ანუ ეს არის მთელი ჯაჭვი და სააკაშვილის განაჩენი კონტექსტიდან ამოგლეჯილი საქმეა?

– რა თქმა უნდა, ასეა! გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ამ გამოძიების პროცესიდან, რომელიც მოიცავს დაახლოებით 50 ეპიზოდს, ამოიღეს ერთი ეპიზოდი, ისიც ნაწილობრივ და ამას ეძახიან საქმის გამოძიებას. რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური შეკვეთა! ამაში ორი აზრი არ არის! ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკურად მოტივირებული, ხოლო ფაბულა, რის დამტკიცებასაც ცდილობენ ნაციონალები, რომ სააკაშვილი უდანაშაულოა, რა თქმა უნდა, სააკაშვილი უდანაშაულო არ არის! როგორც არ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური ვითარება, „ქართული ოცნების“ წევრებისგან განსხვავებით, მე ნამუსზე ფეხს ვერ დავაბიჯებ და ვერ დავივიწყებ იმას, რაც მოხდა. დღეს უნდათ, რომ ყველა საქმე, რომლებიც 2012 წლამდე მოხდა, ერთ კალიბრში გაატარონ.

– რას გულისხმობთ?

– ყველაფერს რაც სააკაშვილს ბრალდებოდა – ვაზაგაშვილის, ჟვანიას, გირგვლიანის საქმეებს. აქედან ზოგი მართლა მოხდა, ზოგი იყო გამოგონილი, ზოგი – ნაწილობრივ გამოგონილი, მაგრამ გირგვლიანი ზუსტად ის საქმეა, რომელიც გამოგონილი არ ყოფილა! გირგვლიანის საქმეში ყველაფერი, რაც ბრალდებოდა წინა ხელისუფლებას, მართალი იყო! ის ნამდვილად მოკლეს შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლისა და მასთან მსხდომი პირების ახირების გამო და ნამდვილად ამ საქმის გამოძიებას სახელმწიფოს პირველი პირები ყველანაირად უშლიდნენ ხელს! ეს საქმე გამოგონილი არ არის.

– აბა, რომელია გამოგონილი?

– მე არ ვიცი, შეიძლება, გამოგონილია ის, რასაც ჟვანიასთან დაკავშირებით აბრალებდნენ და კიდევ არის სხვა საქმეები, რომლებიც შესაძლოა მთლად ისე არ იყოს, როგორც 2012 წლამდე გვეგონა. გირგვლიანის საქმე კი თეთრი ძაფით არის ნაკერი საქმე და აქ ვამტკიცოთ, რომ ეს საქმე პროპაგანდის შედეგი იყო, არა, ასე არ იყო. ეს იყო წინა ხელისუფლების წარმომადგენლების თავგასულობის შედეგი.

– თქვენც ამბობთ, რომ საქმე კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი, თუმცა საზოგადოების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ყველა დამნაშავეს თავისი უნდა მიეზღოს, მათ შორის სააკაშვილს. ამ ფონზე ამჟამინდელი პრეზიდენტის პოზიციამ საზოგადოება გააღიზიანა. ითქვა, რომ მან სააკაშვილის მხარე დაიჭირა. რას იტყვით მარგველაშვილის შეფასებებზე?

– მარგველაშვილის შეფასებები ყოველთვის გარკვეულ კონტექსტშია გაკეთებული. მე არა ვარ მარგველაშვილის თანამოაზრე, არა ვარ მისი გუნდის წევრი, მიჭირს გითხრათ, რა კონტექსტში და რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს. თუმცა, რაც თქვენ ბრძანეთ, გეთანხმებით, მისი განცხადებაც გარკვეულწილად ცალმხრივი იყო. კი, მან სწორად აღნიშნა ის აქცენტი, რომელიც ლევან მურუსიძეზე გააკეთა, მაგრამ იმ განცხადებებს, რომ თითქოს შეწყალების აქტის გამო დადგა ბრალი, არანაირად არ ვიზიარებ!

– არ დამდგარა ამის გამო?

– ამის გამო ნამდვილად არ დამდგარა. შეწყალების გამო იქნებოდა იმ შემთხვევაში, წინასწარ რომ არ მომხდარიყო ეს შეთანხმება. მარგველაშვილსაც სდებენ ბრალად, რომ თავისი ახლობლები შეიწყალა... ეს სხვა საქმეა. დავუშვათ, პრეზიდენტი შეჰპირდა დამნაშავეს, შენ არ ითანამშრომლო გამოძიებასთან, არ დაასახელო შემკვეთის გვარები და შეგიწყალებო, ეს, რა თქმა უნდა, დანაშაული იქნება და არა პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლება. დანაშაული შეწყალება კი არა, წინასწარ შეპირებაა! ვიდეოკადრები გვაქვს ნანახი, ეს დამნაშავეები როგორ მწვადაობენ ციხის გარეთ, მაშინ როცა პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი და რაზე ვლაპარაკობთ?!

– რა გამოდის, ეს ხელისუფლებაა უსუსური და ვერ ამყარებს მტკიცებულებებს?

– ხელისუფლების უსუსურობაც და, გარდა ამისა, არც ჰქონია პროკურატურას დავალება, დაედოთ მტკიცებულებები. სხვათა შორის, თუ აკვირდებოდით პროკურორრ ნადარეიშვილს, მას არ უნდოდა ამ საქმეზე კომენტარის გაკეთება, თქვა კიდევაც, ჩემთვისაც გულდასაწყვეტიაო. ეს ივანიშვილმა უნდა გაითვალისწინოს.

– რა უნდა გაითვალისწინოს?

– როცა მისი ჩინოვნიკები უხალისოდ ასრულებენ სააკაშვილის საწინააღმდეგო დავალებებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ამ ქვეყანაში ცვლილებებს ელოდებიან.

ეკა ბესელიას სააკაშვილის საქმეზე პრეზიდენტ მარგველაშვილთან კითხვები აქვს

ეკა ბესელიას აინტერესებს, თუ რომელიმე თანამდებობის პირი პოლიტიკურ უფლებამოსილებას გამოიყენებს მართლმსაჯულების განხორციელების ხელისშეშლის ან კონკრეტული დანაშაულის დაფარვის მიზნით, ქმედება ჩაითვლება თუ არა უკანონოდ.

– საუბარია იმაზე, უფლება და უფლებამოსილება იყო თუ არა ბოროტად გამოყენებული. სასამართლომ ჩათვალა, რომ იყო უფლებამოსილება ბოროტად გამოყენებული. მინდა, ძალიან კონკრეტული კითხვა დავსვა პრეზიდენტის კომენტარისა და განცხადების შემდეგ, როდესაც მან თქვა, რომ ეს იყო კონსტიტუციური უფლების გამოყენება. უფლების გამოყენების დროს როდესაც დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე დანაშაულებრივ მოტივს, შეიძლება დავასახელოთ მართლმსაჯულებისთვის ხელისშეშლა, დანაშაულის დაფარვა ან რაიმე სხვა უკანონო მიზანი, ეს ჩაითვლება თუ არა უკანონო ქმედებად. ძალიან მარტივ კითხვას ვსვამ და ამ კითხვაზე ნებისმიერ იურისტს, რომელსაც აქვს მინიმალური კვალიფიკაცია, შეუძლია, პასუხი გასცეს, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მედიანიუსი

თურქეთში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც პროსტიტუციაში იძულებით იყო ჩართული

თურქეთში, ანტალიის პროვინციის ქალაქ ალანიაში, პროსტიტუციისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ „მილიეტი“ წერს.

პოლიციის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებულია 21 წლის ალპასლან ე., რომელიც საქართველოს მოქალაქე 30 წლის გ.ა.-ს, უზბეკეთის მოქალაქეებს, 35 წლის ზ.თ.-ს და 32 წლის ხ.ა.-ს აიძულებდა, პროსტიტუციით დაკავებულიყვნენ.

დაკავებულ ქალებს დეპორტაციისთვის ამზადებენ, ალპასლან ე.-ს კი სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

უკრაინაში ქართველ სამხედროებს ავიწროებენ და დეპორტით ემუქრებიან

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინაში საომარ მოქმედებებში ბევრი ქართველი მონაწილეობს. ამ ქვეყნის დაცვას უკვე ბევრი ქართველი შეეწირა. მოსახლეობა და ხელისუფლება ჩვენი მებრძოლების მიმართ პატივისცემით იყვნენ განწყობილი. უკრაინული სახელმწიფო ჯილდო ბევრ ქართველს მიენიჭა.

რამდენიმე თვის წინ მათ მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ქართველ სამხედროებს უკვე ღიად ავიწროებენ. რამდენიმე მათგანი ქვეყნიდან გამოაძევეს. მათ შორის იყო პოლკოვნიკი დათო მაყიშვილიც.

ახლა მისი და მისი მეგობრების ბედი შესაძლოა „ქართული ლეგიონის“ მებრძოლებმაც გაიზიარონ. ლეგიონი უკრაინაში საომარ მოქმედებებში უკვე 4 წელია მონაწილეობს. ისინი უკრაინის 54-ე ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდნენ.

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლეგიონმა აღმოსავლეთ ფრონტის ხაზი და 54-ე ბრიგადა დატოვა. ქართველი სამხედროები საომარ მოქმედებებში მონაწილეობას დროებით წყვეტენ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ქართულმა ლეგიონმა“ ბრიგადა გასული წლის 16-17 დეკემბერს მომხდარი ინციდენტის გამო დატოვა.

16-17 დეკემბერს „ქართულ ლეგიონზე“ განხორციელდა თავდასხმა, რომლის დროსაც 11 ქართველი მებრძოლი დაიჭრა. საბედნიეროდ, ყველა ცოცხალი გადარჩა. ქართულ და უკრაინულ მედიაში მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინელებიდან ვიღაცამ მოწინააღმდეგეს „ქართული ლეგიონის“ კოორდინატები მიაწოდა.

იმ დღეებში ქართველი სამხედროები ამ თემაზე არ საუბრობდნენ, თუმცა ეჭვები მათაც ჰქონდათ. სიტუაციაში გარკვევამდე ლეგიონმა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ქართველებმა აღმოსავლეთ ფრონტის ხაზი 20 დეკემბერს დატოვეს. მედიისთვის ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ქართველი მეომრები თანამებრძოლების დაჭრას ბრიგადის მეთაურის არაკომპეტენტურობას უკავშირებენ.

მათივე განმარტებით, მეთაური ქართველებს ემუქრება. ლეგიონის პრესსამსახურის განცხადებით, უკრაინის ხელისუფლება აღნიშნულ სკანდალთან დაკავშირებით „ლეგიონის“ დაჭრილი მეომრების დეპორტირებას აპირებს.

გასული წლის დამლევს სააგენტო „თაიმერმა“ უკრაინაში ქართველ მებრძოლზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 16-17 დეკემბერს ღალატს ჰქონდა ადგილი.

„თაიმერის“ წყაროს განცხადებით, „ქართული ლეგიონის“ მოქმედებებზე, მათ ადგილსამყოფელზე მტერს წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია და ქართველი მეომრები, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირეს. ამასთანავე, ცნობილი ხდება, რომ „ქართული ლეგიონის“ პოზიციებს ცეცხლი მხოლოდ სეპარატისტთა მხრიდან არ ჰქონდა გახსნილი.

– ჩვენს ბიჭებს შეტევაზე გადასვლის ბრძანება მისცეს, რაც, როგორც წესი, ზეპირად ხდება ბრიგადის მეთაურის მხრიდან. ბრიგადის მეთაურები შეტევას გენშტაბთან ათანხმებენ და მერე გასცემენ მსგავს ბრძანებას. როგორც ირკვევა, ეს ბრძანება შეთანხმებული არ ყოფილა.

ბიჭები როგორც კი შეტევაზე გადავიდნენ, მაშინვე მოწინააღმდეგის მხრიდან მასირებული საარტილერიო დაბომბვის ქვეშ, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რომ საღამომდე ძლივს მოახერხეს საკუთარ პოზიციებზე დაბრუნება. დაბრუნებულებს საკუთარ პოზიციებზე უცხო ხალხი დახვდათ. არავინ იცის, ვინ მოიყვანა ისინი იქ. როგორც კი ეს ხალხი მოიშორეს საკუთარი ბლინდაჟებიდან, მათი ტერიტორია მასირებული საარტილერიო ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. ზუსტად იმ ტერიტორიაზე ცვიოდა ბომბები, სადაც ქართველები იყვნენ პირდაპირ ბლინდაჟებში. 8 ადამიანი დაიჭრა. ბიჭები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ესროდნენ როგორც რუსები, ასევე უკრაინელებიც, მათი განლაგების ზუსტი კოორდინატები ჰქონდათ. საეჭვოა ის ფაქტიც, რომ შეტევის ბრძანება მხოლოდ „ქართულმა ლეგიონმა“ მიიღო. მიუხედავად ყველაფრისა, ქართველები ცოცხალი გადარჩნენ, რაც ძალიან დიდი გამართლებაა.

შეიძლებოდა, ყველანი დახოცილიყვნენ. უკრაინულმა სარდლობამ იცის, რომ ქართველები ხვდებიან, რა ღალატიც იყო და ახლა მათზე სერიოზული ზეწოლაა. თუ ისინი ხმას ამოიღებენ, იტყვიან, რომ ქართველებმა შეტევა თვითნებურად წამოიწყეს და მათივე დადანაშაულებას შეეცდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველების ადგილმდებარეობა გაყიდული იყო მინსკის შეთანხმების თანახმად. სამხედრო ხელმძღვანელობას შეტევის ბრძანების გაცემა ოფიციალურად, ანუ დოკუმენტურად არ შეუძლია, ამიტომ ორივე დაპირისპირებული მხარე შეტევის ბრძანებას მხოლოდ ზეპირად გასცემს, ისე, რომ ამაზე არანაირი დამამტკიცებელი დოკუმენტები არ რჩება, თუმცა ბიჭებს საკუთარი პოზიციის დასაცავად გარკვეული მტკიცებულებები, რა თქმა უნდა, ექნებათ, – აცხადებს „თაიმერის“ წყარო.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ „ახალი თაობა“ შეეცადა, ინფორმაცია „ქართული ლეგიონის“ მეთაურ მამუკა მამულაშვილისგან მიეღო. მამულაშვილმა მაშინ საუბარი არ ისურვა და დუმილი მხოლოდ ამ დღეებში დაარღვია.

„ქართულმა ლეგიონმა“ საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე უარი თქვა

მეთაური ამბობს, რომ ქართველი მებრძოლები შეავიწროვეს და, ფაქტობრივად, გაწირეს. მამულაშვილი ბრალდებებს 54-ე ბრიგადის ხელმძღვანელობას უყენებს.

– ძალიან შეგვავიწროვეს და ესეც არაფერი, ფაქტობრივად, გაგვწირეს. უკრაინულ სარდლობაზე არ ვსაუბრობ, უშუალოდ ჩვენი ბრიგადის ხელმძღვანელობას ვგულისხმობ. არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, რომ ჩვენ უკრაინის არმიასთან ან მის სარდლობასთან გვაქვს პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ ჩვენმა უშუალო ხელმძღვანელობამ გვაიძულა, ბრიგადა დაგვეტოვებინა, – ამბობს „თაიმერთან“ საუბარში მამუკა მამულაშვილი.

„ქართული ლეგიონის“ მეთაური ამბობს, რომ ბრიგადის ხელმძღვანელობის უშუალო მონაწილეობით ქართველი სამხედროები რამდენჯერმე აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში.

– 16-17 დეკემბრის ოპერაცია და მისი შემდგომი მოვლენები ბოლო წვეთი იყო. ფაქტობრივად, სამი ოპერაცია განხორციელდა ბრიგადის მეთაურის ბრძანებით, რომელშიც მან უშუალოდ ეთნიკური ქართველების, ანუ „ქართული ლეგიონის“ მონაწილეობა მოითხოვა და სამივე ისეთი ფორმით, რომ ჩვენ გავენადგურებინეთ. ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, მეომრები ვართ და 4 წელია აქ ვიბრძვით, ბევრი მეომარიც დავკარგეთ, მაგრამ, როდესაც იცი, ოპერაციას არანაირი მიზანი არ აქვს, გარდა იმისა, რომ მოგკლან, ამას არცერთი მეომარი არ შეეგუება. 16-17 დეკემბრის ოპერაციაში 11 მებრძოლი დაგვეჭრა და, ყველა რომ არ დაიხოცა, ეს ჩვენი თანამებრძოლი უკრაინელი მეომრების დამსახურებაა, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩვენი მეომრები უაზრო და უეჭველ სიკვდილზე არ გაეშვათ. მათმა ოსტატურმა მოქმედებებმა გადაგვარჩინა, – აცხადებს მამულაშვილი.

მამულაშვილი ამბობს, რომ ქართველ სამხედროებს უკრაინული არმიიდან გარიცხვით ემუქრებიან.

– მე არ ვიცი, ამას რა დავარქვა, როდესაც მეთაური მოწადინებულია, თავის ბრიგადაში შემავალი უცხოური ბატალიონი დაუდგენელი მიზეზებით გაწიროს. ვერ ვიტყვი, რომ გამოცდას გვიწყობდნენ, რადგან ჩვენ აქ 4 წელია ვიბრძვით, ბევრი მეომარი დავკარგეთ, ბევრი დაგვეჭრა და თითქმის ყველას საბრძოლო ორდენი გვაქვს.

პირადად მივედი მასთან ოპერაციის შემდეგ, მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა ჩვენს თავს. მაისტერენკოსთან საუბარი მქონდა, რომლის დროსაც დამემუქრა, თუ რამეს ვილაპარაკებდით, ყველას შეუთავსებლობის ბრალდებით გაგვაგდებდა ჯარიდან, რაც თითქმის დეზერტირობას ნიშნავს.

უკანდახევაზე რომ არ წავედი, პირდაპირ ჩემი თანდასწრებით დაავალა კაპიტან სერგეი ფედოსენკოს, ამ მუხლით დაეთხოვა ქართველები უკრაინული ჯარიდან. იქვე იყო რუსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც პირდაპირ მითხრა, რომ „ქართული ლეგიონი“ არის სიმსივნე, რომელიც უკრაინას ეხმარება. გაოგნებული ვიყავი. რუსებთან ტყვედ მეგონა თავი, – იხსენებს „ქართული ლეგიონის“ მეთაური.

მამუკა მამულაშვილის თქმით, მათ აქვთ ამ შეხვედრის აუდიოჩანაწერი, რომელსაც მალე წარუდგენენ უკრაინელ საზოგადოებას.

მამულაშვილი „ქართული ლეგიონის“ გადაწყვეტილებაზეც საუბრობს. მისი თქმით, 20 დეკემბერს ბრიგადის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს.

– საკუთარი განცხადების საფუძველზე დავტოვეთ ბრიგადა. ვისაც სამი შვილი გვყავს, უკრაინული კანონმდებლობით, ამის უფლება უპრობლემოდ გვაქვს, დანარჩენებს შეუთავსებლობას უფორმებენ. დაჭრილი ბიჭებისთვის, სანამ საავადმყოფოში არიან, ვერ გააკეთებენ ვერაფერს ოფიციალურად მაგრამ მათ ურეკავენ და აშანტაჟებენ.

მამულაშვილი იმ ადამიანებსაც ასახელებს, რომლებიც ქართველ სამხედროებს ემუქრებიან:

– ბატალიონის მეთაურის მოადგილე და ბრიგადაში დარჩენილი 3 ქართველიდან ერთ-ერთი ზურაბ ჩიხელიძეა. ეუბნებიან ბიჭებს, თუ რამეს იტყვით, გაგადეპორტებენო.

„ქართული ლეგიონის“ მეთაურის თქმით, ის და მისი თანამებრძოლები უკრაინაში რუს ოკუპანტებთან საბრძოლველად არიან ჩასული. ისინი ბრძოლის გაგრძელებასაც აპირებენ. ახლა კი უკრაინის სამხედრო ხელმძღვანელობისგან ელოდებიან პასუხს.

ჩვენებურებმა საქმის კურსში უკრაინაში აშშ-ის საელჩოც ჩააყენეს.

– ჯერჯერობით ველოდებით, რა გამოხმაურება მოჰყვება ჩვენს ამბავს უკრაინული სარდლობის მხრიდან. აშშ-ისა და რამდენიმე ჩვენი უცხოელი თანამებრძოლის ქვეყნების საელჩოებსაც მივაწოდეთ ინფორმაცია ჩვენი პრობლემის შესახებ. ჩვენ უკრაინაში ბრძოლის გაგრძელებას ვაპირებთ. ქართველებს რომ გადეპორტებით გვემუქრებიან, ვიცით, მაგრამ ამერიკელ, ინგლისელ და სხვა უცხოელ მეომარსაც ხომ ვერ გაადეპორტებენ?! ჩვენ აქ რუსებთან საბრძოლველად ჩამოვედით და ამ ბრძოლის გაგრძელებას ვგეგმავთ, – აცხადებს მამუკა მამულაშვილი.

რაზე გაურიგდა „ქართული ოცნება“ ასლან აბაშიძეს

ნატო იმნაძე: „ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმეს სტრასბურში გავასაჩივრებ“

შორენა მარსაგიშვილი

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნოდარ იმნაძის შვილი, ნატო იმნაძე, სიმართლის დასადგენად სტრასბურში აპირებს წასვლას. ის უკვე 27 წელია, რაც მამის მკვლელობის გამოძიებისთვის იბრძვის, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, სამართალს დღემდე ვერ მიაღწია.

– ნოდარ იმნაძე ასლან აბაშიძემ 1991 წელს მოკლა. მას შემდეგ საქართველომ რამდენიმე ხელისუფლება გამოიცვალა, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არცერთს არ მიუყვანია.

ამ მხრივ არც „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა გამონაკლისი. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინიც გაურიგდნენ ასლან აბაშიძეს. ის ნოდარ იმნაძის საქმეში, ფაქტობრივად, გაამართლეს და, არ არის გამორიცხული, ძალიან მალე საქართველოში ვიხილოთ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ნატო იმნაძემ.

სასტიკად მოკლული ნოდარ იმნაძის შვილს ეს ეჭვები ადრეც ჰქონდა, მაგრამ 4 იანვარს ამაში საბოლოოდ დარწმუნდა.

– 4 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ასლან აბაშიძის საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. თუმცა, არის ერთი განსხვავება – ნოდარის მკვლელობის ნაწილში სააპელაციომ განმარტა, რომ ბრალის ხანდაზმულობის ვადა გავიდა.

ამ განაჩენს, ბუნებრივია, არ ვეთანხმები და ბრძოლის გაგრძელებას სტრასბურში ვაპირებ. არ მინდოდა, სახელმწიფოს წინააღმდეგ შემეტანა სარჩელი, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ დამიტოვეს, – ამბობს იმნაძე.

სტრასბურამდე ის უზენაეს სასამართლოს მიმართავს, თუმცა სიმართლის პოვნის აღარ სჯერა.

– უზენაეს სასამართლოში მხოლოდ იმიტომ შევიტანე სარჩელს, რომ სტრასბურში წასვლამდე აქ ყველა ინსტანცია უნდა გავიარო. ქუთაისის საოპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ აქ სამართალს ვერ ვიპოვი. აშკარაა, სასამართლომ ამ საქმეში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი ყველაფერს აკეთებს, რომ ასლან აბაშიძე პირნათელი წარმოჩნდეს.

ნატო იმნაძე ამას არ შეეგუება და ჩემი ბრძოლა სტრასბურში გაგრძელდება. მე არ მაინტერესებს, რა ვალდებულებები აქვს „ოცნებას“ აბაშიძესთან. ის იყო კრიმინალი კომუნისტი, რომელმაც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მოკლა. ამდენი წელი ვიბრძოლე და არც ახლა გავჩერდები. დარწმუნებული ვარ, სამართალს სტრასბურში ვიპოვი, – აღნიშნავს ნოდარ იმნაძის ქალიშვილი.

მისი თქმით, „ოცნებისა“ და აბაშიძის შეხმატკბილებულ ქმედებებზე ის მუქარაც მეტყველებს, რომელიც მისი მისამართით განხორციელდა.

– 2016 წლის დეკემბერში ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში გამოვიდა ყოფილი დეპუტატი და თქვა, რომ ასლან აბაშიძის ადგილზე ის მე მომკლავდა. დიახ, ეს არის მუქარა, მაგრამ სამართალდამცავებს ამაზე რეაგირება არ ჰქონიათ. არადა, ჩვენ ვნახეთ, რომ სოციალურ ქსელში გინების გამო ხალხი დაკითხვაზე დაიბარეს. ეს კი ისე გაატარეს, ვითომ არაფერი, – აცხადებს ნატო იმნაძე.

საშობაო ეპისტოლე

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

„ამიერიდან შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ“ (გალ.4,7).

ახლა, ამ ღამეს, მთელ კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს კვლავ ეუწყება ანგელოზის საოცარი სიტყვები, პირველად ბეთლემელმა მწყემსებმა რომ გაიგონეს: „მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი“ (ლუკა. 2.11) და მსოფლიოს კვლავაც ეფინება ზეციური საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2.14).

ანთებული სანთლებით მწყემსებთან და მოგვებთან ერთად სულიერად ჩვენც გავეშუროთ ბეთლემისაკენ და მივეახლოთ ყრმა იესოს – წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ დავითის ძედ წოდებულს.

რატომ შეიყვარა ღმერთმა ასე დავითი? რატომ მიაგო გამორჩეული პატივი? შობის ადგილად მისი ქალაქი რატომ ირჩია და თავისი ხორციელი წარმომავლობა მას რატომ დაუკავშირა?!

პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი გახდა მეფე-რჩეული.

დავითს ძლევამოსილობის მწვერვალზეც და უდიდესი შეჭირვების ჟამსაც სულით ხორცამდე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ქვეყანაში თვითონ კი არ მეფობდა, არამედ – ყოვლადსახიერი უფალი. თავად კი იყო ოდენ მსახური და მისი ნების აღმსრულებელი, ამიტომაც თავმდაბლად სრულად იყო მასზე მინდობილი და უდრტვინველად ემორჩილებოდა.

ძველი აღთქმის მეფეთა შორის მეფე-მსახურის ტვირთი ასე სწორად, ასე ღირსეულად არავის უტარებია და დღესაც იგი მისაბაძად რჩება.

დავითს ჰქონდა დიდი შეცდომებიც, მაგრამ ჰქონდა გულმხურვალე, გულწრფელი, სულისშემძვრელი სინანული და ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ ჭარბობდა ცოდვათა სიმძიმეს და მაგალითად გახდა დაცემულთა წამოდგომისა.

თავმდაბლობისა და გულშემუსვრილობის გამო მიეცა მას წინასწარმეტყველების მადლი და უფალთან პირდაპირი საუბრის ძალმოსილება, რითაც იქცა მეფობის, ღვთისმსახურებისა და წინასწარმეტყველების ნიჭთა შემომკრებად.

ამ თვისებათა გამო დაფასდა დავითი ღვთის თვალში.

ჩვენ ყველამ მშობლებისა და წინაპართაგან მივიღეთ გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის, გარემოებათა და პიროვნული არჩევანის მიხედვით კი ვყალიბდებით ინდივიდებად.

ეს შემოქმედებითი პროცესია, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ქმედებების ნაწილი მოვიწონოთ, ნაწილი დავიწუნოთ, ზოგს განვერიდოთ, ზოგს მუდმივად ვებრძოლოთ და ასე გავხდეთ თანამონაწილე ჩვენი „მე“-ს გამოძერწვისა.

ავს ვაკეთებთ თუ კარგს, ეს ყველაფერი შემდეგ იმქვეყნად აისახება და მთელი სისავსით გამოვლინდება; ამიტომაც ჩვენს ყველა ნაბიჯს და არსებობის ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვმოქმედებთ გონებით, სიტყვით, საქმით, გრძნობით და პასუხს ვაგებთ ფიქრზე, რომელიც გონებაში გვაქვს, საქმეზე, რომელსაც ვაკეთებთ, ტკივილზე თუ სიხარულზე, რომელსაც განვიცდით, სიტყვაზე, რომელსაც ვამბობთ, მზერაზეც კი, ...რადგან ეს ჩემი აზრია, ჩემი გრძნობაა, ჩემი მოქმედებაა, ჩემი სიტყვაა, ჩემი განწყობაა. მე ვქმნი ამ ყოველივეს და ჩემს „მე“-დ, ჩემს ინდივიდუალურ ყოფად ვაქცევ.

წარმოიდგინეთ, მუდმივად რამდენი მიმართულებით ვავლენთ თავს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, არც ვუკვირდებით და ვერც ვაცნობიერებთ, რას ვაკეთებთ, რატომ და როგორ ვმოქმედებთ.

რა არის ჩვენთვის სასარგებლო ან უარსაყოფი, რა ითვლება სიმართლედ და სიკეთედ, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება? – ეს კითხვები ფილოსოფოსთათვის საუკუნეთა განმავლობაში განსჯის საგნად იყო ქცეული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ქრისტიანობამ კი ყველასთვის გასაგებად მარტივად გასცა მას პასუხი: ,,შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და დიდი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (მთ. 22, 37-39), ანდა ,,ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ“ (მთ. 7,12).

მაგრამ ამგვარი ცხოვრების შედეგი არ არის მიწიერი ბედნიერება, სიმდიდრე და თანამდებობა, არც პატივი და უზრუნველი ყოფა.

ასეთი ცხოვრების შედეგი არის მარადიული ნეტარება, მარადიული სიხარულის განცდა და ანგელოზთა თანა ქრისტეს საუფლოში მყოფობა.

წუთისოფელში ყოველთვის იყვნენ და არიან ადამიანები, რომელნიც ამქვეყნიურ, წარმავალ კეთილდღეობას ირჩევენ ცხოვრების მიზნად და სხვა არც არაფერი სურთ, მაგრამ იყვნენ, არიან და იქნებიან ისეთნიც, რომელნიც ბედნიერებას უფალთან ერთობაში ხედავენ.

ასეთი აზროვნება ზოგიერთს ადრეული ასაკიდან უყალიბდება, ზოგი განსაცდელის შემდეგ ხდება მორწმუნე, ნაწილიც განსჯით ეძიებს და იმეცნებს ღმერთს, რომელთანაც სიახლოვეს მთელი ძალით ეკლესია შეგვაგრძნობინებს.

რა არის და რას ნიშნავს ეკლესია?

ეკლესია ღვთის მიერ მოწოდებულთა და მისი სიწმინდის გარშემო გაერთიანებულთა კრებულია.

პირველი ეკლესია ჩვენთვის უხილავია და იგი შემოქმედთან ანგელოზთა დასის ურთიერთობას გულისხმობს.

ადამს, ევასა და ღმერთს შორის დაცემამდელი კავშირი კი იყო ედემში არსებული ეკლესია, ანუ ის სივრცე, რომელშიც შემომქმედთან ჩვენი პირველმშობლების ერთობით ხდებოდა მათი ნეტარებითი ცხოვრება.

ცოდვით დაცემის შემდეგ ხილული ეკლესია კვლავ შენარჩუნდა აბრაამისა და სხვა მამათმთავართა კრებულში; სჯულდებითი სახე კი მას სინას მთის გამოცხადების შემდეგ მიეცა.

I საუკუნემდე მთელ მსოფლიოში მხოლოდ ისრაელში არსებობდა ეკლესია, სადაც იდიდებოდა ჭეშმარიტი ღმერთი.

I საუკუნის დასაწყისში, სულიწმინდის მოფენის დღეს, დაარსდა ახალი აღთქმის ეკლესია, რომელმაც მაცხოვნებლობითი მადლმოსილება შესძინა იმ მსახურებას, ძველი აღთქმის ეკლესიაში რომ აღესრულებოდა.

მისი მოწყობის წესი, იერარქია და საიდუმლოებები მაცხოვარმა თვითონ დაადგინა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ მხოლოდ ეს ეკლესია არის მაცხოვნებელი, მარადიული სიცოცხლის წყარო და ემბაზი, რადგან იგი უშუალოდ იესო ქრისტეს მიერაა დაარსებული და მისი სისხლითაა გამოსყიდული. ,,კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას (მთ. 1,16), – ბრძანებს უფალი.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მძლავრობს პიროვნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა, მისთვის უცხოა ჩვენი ნების რაიმე სახით შეზღუდვა (ცოდვა კი იმონებს კაცს და თავის მორჩილად ხდის), იგი კაცობრიობასა და თითოეულ ჩვენგანს გადარჩენის გზებს უჩვენებს და გვთავაზობს თანამოღვაწეობას ჩვენს სულში და ჩვენს გარემოში გაბატონებული ბოროტი ძალის დასამარცხებლად. ამისთვის კი არ არის საკმარისი მხოლოდ ჩვენი სიტყვიერი აღმსარებლობა, არც ღრმა თეოლოგიური ცოდნა, არც წესების შესრულება, აუცილებელია ყოველი ჩვენგანის პირადი მოღვაწეობაც, ქმედებებში გამოვლენილი ჩვენი ბრძოლა გამარჯვებისათვის.

ამიტომაც ეწოდება ქრისტეს ეკლესიას მებრძოლი ეკლესია.

ხოლო ვინც ამქვეყნად ამ სულიერ ბრძოლაში არ მონაწილეობს და ცხონების გზას არ ადგება, თუნდაც ეკლესიაში რეგულარულად დადიოდეს და სასულიერო პირიც იყოს, ქრისტეს ცოცხალი და ცხოველსმყოფელი ეკლესიის გარეთ დარჩება.

ვიტყვით იმასაც, რომ მებრძოლი ეკლესია იარსებებს მეორედ მოსვლის შემდეგაც, ოღონდ ახალი ფორმით – მოზეიმე ეკლესიის სახით, ცოდვებზე გამარჯვებულ ნათლის შვილთა და ღვთის ძეთა კრებულის სახით.

ასე რომ, ეკლესია ყოვლადწმინდა სამების მადლთან ანგელოზთა და კაცთა თანაზიარების ადგილია. იგი შესაქმის თანადროულია, ანუ სამყარო ეკლესიის გარეშე არ არსებობს!

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ მებრძოლი, გადამრჩენელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნი ვართ და ძალგვიძს, მოზეიმე ეკლესიის თანაზიარნიც გავხდეთ.

ქრისტეს ეკლესიის წევრობა ცოდვის მონობისაგან ჩვენს გათავისუფლებას, საკუთარი თავის ფლობას, სხეულზე სულის წარმმართველობას გულისხმობს.

წარმომავლობის, ეთნოსის, წარსული ცოდვილი ცხოვრების მიუხედავად, ქრისტე არ ერიდება უდიდეს სიწმინდეში ჩვენს შეყვანას, ზიარების მადლით კი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ვხდებით.

მაგრამ ამ სიწმინდეს გვთავაზობს არა პატივისათვის, არამედ პასუხისმგებლობისთვის, არა ბატონობისთვის, არამედ მოყვასზე ზრუნვისთვის, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად მეფე – მსახურად ჩვენი წარმოჩენისთვის.

„მადლისა და სიმართლის უხვად მიმღებნი იმეფებენ სიცოცხლეში, იესო ქრისტეს მიერ“ (რომ. 5,17), – ვკითხულობთ წმინდა წერილში, რადგან „უკეთუ დავითმენთ, მასთან (იესოსთან) ერთად ვიმეფებთ“ (II ტიმ. 2,12).

ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს ისეთი თვისებების ქონასაც, როგორიცაა, ერთი მხრივ, თავმდაბლობა, მეორე მხრივ, უშიშრობა და სხვისთვის თავგანწირვა; ერთი მხრივ, გულწრფელობა და უბოროტობა, მეორე მხრივ, სიბრძნე და გონიერება, სხვისი აზრის მოსმენისა და და უმჯობესის გამორჩევის უნარი.

როდესაც ვუყურებთ ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას, ერთგვარი შიში და უკმაყოფილება გვიპყრობს, რადგან ქრისტიანული წესით ცოტა ცხოვრობს და, ეკლესიის მაცხოვნებელ საოცარ წიაღს მოწყვეტილნი, ვითარცა ხის ნაფოტნი და ვაზის ნასხლევნი, სიცოცხლეს კარგავენ.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა. პიროვნება უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა და, ღვთის მადლის გარეშე დარჩენილს, აღარ ძალუძს, თავი დააღწიოს შექმნილ მდგომარეობას; ინგრევა ოჯახები, უმეთვალყურეოდ რჩებიან ბავშვები; გამეფდა სიცრუე, ამპარტავნობა, გაუტანლობა, ეგოიზმი, შური და ღვარძლი; ადამიანი ცდილობს, გაექცეს ამ რეალობას, მაგრამ, გზააბნეული, ხსნას ძირითადად ნარკოტიკის მოხმარებაში ხედავს, რითაც მდგომარეობას კიდევ უფრო ირთულებს.

აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებს დაიცავს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით. ამასთან, უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრები, სასკოლო ასაკიდანვე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გატარდეს სხვა ღონისძიებები.

მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს, რათა აღნიშნული პრობლემისადმი სწორი კომპლექსური მიდგომა განხორციელდეს და რეალური, შედეგის მომტანი ნაბიჯები გადაიდგას.

მაინც მწამს, ქვეყანა, რომელიც უფლისა და ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა და რომელმაც 2000 წლის განმავლობაში რწმენისთვის თავგანწირვის მრავალი მაგალითი აჩვენა, ქრისტიანობისთვის მებრძოლ სულს კვლავაც შეინარჩუნებს და ცხონების გზას, ათას ქარტეხილთა მიუხედავად, არ დატოვებს.

ამის იმედს განსაკუთრებით მაძლევს ჩვენი მომავალი თაობა, საოცრად ნიჭიერი და ღვთისმოყვარე ჩვენი ბავშვები. დღეს, უპირველეს ყოვლისა, მათი ზეიმია და გულითადად ვულოცავ და ვლოცავ მათ.

ვლოცავ პატიმრობაში მყოფთ, სნეულთა და გაჭირვებულთ.

დღესასწაულს კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ბერძენებს, უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებსა და ლეკებს, ყოველ სხვა მკვიდრთ საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ.

მაშ, ,,განვიშორნეთ უკუე საჭურველნი ბნელისანი, რათა შევიწყნაროთ დღე აღმოდაბადებისა“ (იოანე თესალონიკელი). ,ქრისტე იშვების, ადიდებდეთ! ქრისტეს ზეცით მოვალს, მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა არს, ამაღლდით!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ლევან ალაფიშვილი: „არ გამოვრიცხავ, სააკაშვილის ექსტრადირების პროცედურა ხელახლა დაიწყოს“

ნათია ხურცილავა

იურისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ექსპრეზიდენტ სააკაშვილისთვის საქალაქო სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების საკითხზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, პრეზიდენტმა მარგველა შვილმა ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე თქვა, ვერ მოვიძიეთ პრეცედენტი, პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაზე დევნა მომხდარიყო. მართლაც შეიძლება, კონსტიტუციური ნორმა დადგეს საფრთხის წინაშე?

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ძნელად მესმის იმ „ტომისა და ჯერის“, რომელსაც თვალს ვადევნებთ 2013 წლიდან მოყოლებული. ცხადია, ვგულისხმობ სააკაშვილთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს, რომელმაც თვითონვე მიიღო უცხო ქვეყნის პოლიტიკასა და სახელმწიფო სამსახურში შესვლისა და ამით საქართველოზე უარის თქმის გადაწყვეტილება. ამიტომ მართლაც მიჭირს, გავუგო ჩვენს პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებით, საჯარო განცხადებებით ცდილობენ, ყოფილი პრეზიდენტი ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში ხელახლა შემოიყვანონ თუ შეინარჩუნონ.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, შემიძლია გითხრათ, რომ მოსამართლის განმარტება, რომელიც ძალიან მოკლე იყო, რთულ მდგომარეობაში ჩააგდებს ჩვენს მართლმსაჯულებასა და სახელმწიფოსაც. მოსამართლემ აღიარა, რომ შეწყალება კონსტიტუციურად კი არის პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლება, მაგრამ... და იქვე აგრძელებს, „თუ ვინმეს შეჰპირდა“, ეს არის დანაშაულიო. ვის რას შეჰპირდა, ამის უტყუარი მტკიცებულებებია საჭირო. კიდევ ერთი საკითხი: თითქოს ეს არის განაჩენი გირგვლიანის საქმეზე. ეს განაჩენი არ არის გირგვლიანის საქმეზე. გირგვლიანის საქმეზე განაჩენი არავის გაუუქმებია. ასევე არასწორია ამ კონტექსტში სტრასბურის სასამართლოს შემოყვანა.

ზოგადად, არ შეიძლება, ნებისმიერი ექსკლუზიური უფლება, ეს იქნება პრეზიდენტისა თუ ნებისმიერი ინსტიტუტის, მაგალითად, ეროვნული ბანკის, არ აქვს მნიშვნელობა, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტი-

რებული და მინიჭებული, ეჭვქვეშ დადგეს. თუ აქ გაჩნდება კითხვის ნიშანი, ეს ნიშნავს, რომ სერიოზულ საფრთხეს ვუქმნით ყველა კონსტიტუციურ ინსტიტუტს.

– ამ საქმის პროკურორი ნადარეი შვილი ამბობს, რომ პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლება, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული, აპრიორი არ ნიშნავს, იყოს გამოყენებული, როგორც მოესურვება.

– პროკურორი არის მხარე და ის იცავს თავის პოზიციას, მაგრამ, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ცხადია, ექსკლუზიური უფლება სულაც არ გამორიცხავს შეცდომასაც, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს არის ექსკლუზივი, მორჩა და დამთავრდა. თუკი ვამბობთ, რომ ამ საკითხზე მას არ ჰქონდა ამის უფლება, მაშინ სწორედ ეს იქნება შერჩევითი სამართალი. თუკი ასე გავაგრძელებთ მსჯელობას, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და მსგავსი პრეცედენტები ჩვენს ქვეყანას არაფერში გამოადგება.

– მოსამართლე არევაძის გადაწყვეტილება, სააკაშვილისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯა, შესაძლებელია თუ არა, ექსტრადირების საფუძველი გახდეს? როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტროს ეს მოთხოვნა უკვე აქვს უკრაინული მხარისთვის გაგზავნილი.

– ექსტრადირების მოთხოვნა იყო დაყენებული, ასევე შეიძლებოდა დაყენებულიყო ახლაც და მომავალშიც შეიძლება დადგეს. არ აქვს მნიშვნელობა, პირი ბრალდებულია თუ მსჯავრდებული. ამდენად, ამ განაჩენს არსებითად, პროცესუალურად, კანონით რაც არის გათვალისწინებული არაფერი შეუცვლია ექსტრადირების კუთხით. რაც შეეხება ფაქტობრივ მხარეს, ამ შემთხვევაში ის შეცვალა, რომ აქამდე ხელისუფლების მიერ გაგზავნილ მოთხოვნაზე უკრაინული მხარის მიერ უარი იყო ნათქვამი, ახლა თუ არსებულ პოლიტიკურ კონტექსტსაც გავითვალისწინებთ და ამ გადაწყვეტილებასაც, ეს იქნება ერთგვარი სიახლე, რომელიც ხელახლა წამოსწევს ექსტრადირების საკითხს. არ არის გამორიცხული, ხელახალი პროცედურები დაიწყოს და წარიმართოს უკრაინაში. სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოა ის მსჯელობა, რომელსაც ვისმენთ უკვე პოლიტიკურ სიბრტყეზე, რომ ეს სახელმწიფოთა შორის შეიძლება იყოს კარგად დაგეგმილი პოლიტიკური პროცესი, თუ, რა თქმა უნდა, იმასაც გავითვალისწინებთ, რა პარალელურ პროცესებს ჰქონდა ადგილი უკრაინაში ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებით.

– თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილი ახლა უკრაინისთვის თავისტკივილია და შესაძლებელია, საქართველოს გადმოსცეს?

– დიახ, მე ამ სცენარს სულაც არ გამოვრიცხავ. აშკარაა, რომ უკრაინას სააკაშვილის თავიდან მოცილება უნდა. ამდენად, ექსტრადირების პროცედურა შესაძლებელია ხელახლა დაიწყოს.

ოპონენტები ხაჯიმბას სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოებას საპროტესტოდ ახალი მიზეზი გაუჩნდა. სოხუმში არ წყდება ვნებათაღელვა გიორგი ლუკავას გამო. აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტების ახსნა-განმარტებებმა ხალხი ვერ დააშოშმინა.

გიორგი ლუკავა, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთის სასამართლომ 2013 წელს ოცწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, 2017 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას გადმოეცა. ამას წინ უძღოდა მისი შეწყალება. გიორგი ლუკავა ოკუპირებული რეგიონის ფაქტობრივმა პრეზიდენტმა შეიწყალა.

გიორგი ლუკავას გათავისუფლებამ მღელვარება მოგვიანებით, 2018 წლის იანვარში გამოიწვია. აფხაზეთის საზოგადოება პრეზიდენტს „ტყის ძმების“ ერთ-ერთი ლიდერის შეწყალებას ედავება. პროტესტანტების თქმით, ლუკავას არაერთი აფხაზი ჰყავს მოკლული. იურისტები დავობენ შეწყალებისა და გადმოცემის კანონიერებაზე.

ქუჩაში გამოსული საზოგადოების რეაქციის პასუხად, აფხაზეთის პარლამენტმა შექმნა გიორგი ლუკავას თბილისისათვის გადმოცემის საკითხის შემსწავლელი კომისია. ამასთან, კომისიამ მალევე დაადგინა, რომ ეს თემა საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველია და შესაბამისი მასალები სასამართლოს გადაეცემა. დაისვა პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების უფლების შეკვეცის საკითხი. საპარლამენტო კომისიამ მიმართა პრეზიდენტს, საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საკითხის შესწავლამდე გადააყენოს თანამდებობიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დაურ არშბა.

ხაჯიმბამ დეპუტატების მოთხოვნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაყენების თაობაზე არ დააკმაყოფილა.

რაულ ხაჯიმბას განმარტებით, მისი გადაწყვეტილება გიორგი ლუკავას შეწყალება-გადაცემაზე სრულიად შეესაბამება აფხაზეთის კონსტიტუციას. ეს მოხდა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის თხოვნით მსჯავრდებულების ურთიერთგაცვლის პროცესის ფარგლებში. ეს გულისხმობს თანამშრომლობას ქართულ მხარესთან. ამასვე ამტკიცებს ცხინვალის რეგიონის მმართველი ანატოლი ბიბილოვი. მისი თქმით, ყველაფერი წარიმართა მხარეებს შორის გაცვლის პროცესის შესაბამისად.

ხაჯიმბას ადმინისტრაციას საზოგადოებისათვის მოუხდა იმის შეხსენება, რომ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არიან მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი აფხაზები. თანამშრომლობის გარეშე მათი გადმოცემა შეუძლებელია.

გიორგი ლუკავა რაულ ხაჯიმბამ 2017 წლის იანვარში შეიწყალა, თუმცა მისი ქართული მხარისათვის გადმოცემა წლის ბოლოს მოხდა.

საქართველოს შერიგების მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა ამ ფაქტს პოზიტიური თანამშრომლობის მაგალითი უწოდა.

აფხაზეთის საზოგადოება, რომელსაც 2017 წელს ხალხმრავალი საპროტესტო აქციები არ გაუმართავს, ამ მოვლენამ აღაშფოთა. არ არის გამორიცხული, ამას მომავალში დიდი გამოსვლები მოჰყვეს.

საზოგადოება ამ საკითხზე მოსაზრებებს გამოთქვამს.

ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი არდა ინალ-იპა:

– გამოდის, რომ ამ ფაქტის გამოძიების მიზნით შექმნილმა პარლამენტის კომისიამ საკითხი მოხსნა. საკონსტიტუციო კომისია გაარკვევს, რა ცვლილებებია შესატანი კონსტიტუციაში. ეს ხანგრძლივი პროცესია.

დე ფაქტო არქიმანდრიტი დოროთეი დბარი:

– აფხაზეთის ხელისუფლების საქციელი ამორალურია. საქართველოს ტელევიზიით გამოსულმა ლუკავამ განაცხადა, რომ აფხაზეთში ქართველების დაბრუნების გარეშე ჩვენს ქვეყანას მომავალი არ გააჩნია. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლების მოქმედებებმა ლუკავას გაუჩინეს შეგრძნება, რომ ქართველების გარეშე აფხაზეთს მომავალი არ აქვს.

დეპუტატი ბატალ ტაბაღუა:

– პრეზიდენტმა ამ აქტით დაარღვია ბრძანებულება შეწყალების კომისიის შესახებ.

გალის გამგებელი თემურ ნადარაია:

– აფხაზეთის კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს ნებისმიერი მსჯავრდებულის შეწყალების უფლებას. შეწყალების კომისია გაცვლის პროცესში არ მონაწილეობს. პრეზიდენტები ამ საკითხებს ყოველთვის თვითონ წყვეტდნენ კონსტიტუციით მიღებული უფლების შესაბამისად და, სამწუხაროდ, სიტყვიერი ბრძანებებით.

პაატა ბურჭულაძეს პროკურატურა დაკითხავს

მთავარი პროკურატურის განცხადებით, ფონდ „იავნანას“ დამფუძნებლის, პაატა ბურჭულაძის დაკითხვის გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ და საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში ბურჭულაძის ადვოკატის განცხადების საპასუხოდ განუცხადეს, პროკურატურა ელოდება პაატა ბურჭულაძის საქართველოში ჩამოსვლას, რა შემთხვევაშიც მაგისტრატ მოსამართლეს მის დაკითხვასთან დაკავშირებით შუამდგომლობით მიმართავს.

– ფონდ „იავნანას“ კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის შესაძლო მითვისება-გაფლანგვის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ფონდის დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, კანონით დადგენილი წესით, მისი ოჯახის წევრისა და ადვოკატის მეშვეობით, ორჯერ იქნა გამოძახებული საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, თუმცა ორივე შემთხვევაში მან უარი განაცხადა საგამოძიებო უწყებაში გამოცხადებასა და პროკურატურაში ჩვენების მიცემაზე. პროკურატურა დაელოდება პაატა ბურჭულაძის საქართველოში ჩამოსვლას და, ჩამოსვლის შემთხვევაში, მიმართავს შუამდგომლობით მაგისტრატ მოსამართლეს მის დაკითხვასთან დაკავშირებით, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ პაატა ბურჭულაძის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, რომ ბურჭულაძე მზად იყო, ყველა კითხვაზე პასუხი გაეცა, თუმცა გამომძიებელმა შეატყობინა, რომ ამ ეტაპზე მისი დაკითხვის საჭიროება აღარ დგას.

ქუთაისის ცენტრალურ ბაღში ჟურნალისტი გულის შეტევით გარდაიცვალა

ქუთაისის ცენტრალურ ბაღში გუშინ ჟურნალისტი და რედაქტორი გიორგი ცხადაძე გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადა ადგილზე რამდენიმე წუთში გამოცხადდა, თუმცა, მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

71 წლის გიორგი ცხადაძე სხვადასხვა წლებში გაზეთ „ქუთაისისა“ და „ავტომშენებლის“ რედაქტორი იყო.

ქუთაისში 22 წლის ქალი ყოფილმა მეუღლემ ცემა

ქუთაისში მცხოვრები 22 წლის დეა გოშხეთელიანი ყოფილ მეუღლეს ძალადობაში ადანაშაულებს და მის დაპატიმრებას ითხოვს.

ძალადობის მსხვერპლი ყვება, რომ ყოფილი ქმარი სახლში შეუვარდა და მცირეწლოვანი ბავშვების თანდასწრებით მას და ოჯახის დანარჩენ წევრებს შეურაცხყოფა მიაყენა. მოძალადე პოლიციამ დააკავა, თუმცა, გირაოს სანაცვლოდ მალევე გათავისუფლდა.

დეა გოშხეთელიანი ამბობს, რომ ყოფილი მეუღლის მხრიდან ეს ძალადობის პირველი შემთხვევა არ არის და მის დაკავებას ითხოვს. დეა გოშხეთელიანს და მის მამას ტვინის შერყევა აქვთ. ასევე, გოშხეთელიანის მამას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. გარდა ტვინის შერყევისა, გოშხეთელიანის მამას ცხვირიც აქვს გატეხილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ბრალდებული პირი მოსამართლემ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

– სამმართველოს უფროსმა განაცხადა, რომ 2018 წლის 3 იანვარს, ქუთაისის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ძალადობის ფაქტზე ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა გ. ბ., რომელმაც მის ყოფილ მეუღლე მ. გ.-ს და ყოფილი მეუღლის მამას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულის გამო გ. ბ.-ს წარედგინა ბრალდება, რის შემდეგაც ქუთაისის პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და გ. ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით. გირაოს გადახდის შემდეგ გ.ბ. გათავისუფლდა საპატიმრო დაწესებულებიდან. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ქუთაისის საოპერაციო სასამართლოში, – განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

როგორ აწესრიგებს კანონი შვილებს შორის წარმოქმნილ ქონებრივ დავას

ზოგჯერ ყველაზე ახლობელ ადამიანებს შორისაც წარმოიქმნება ქონებრივი დავა, რომელსაც ისინი სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის გარეშე ვერ წყვეტენ. გაუგებრობებს ყველაზე ხშირად მემკვიდრეობის გაყოფის დროს აქვს ადგილი. ამ პრობლემაზე ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი გვესაუბრება:

– საქართველოში არსებობს ასეთი ტრადიცია, რომლის მიხედვით, მოხუცი მშობლების მოვლა-პატრონობა იმ შვილს ევალება, რომელსაც მათი სახლ-კარი და უძრავი ქონება რჩება. კანონი როგორ არეგულირებს ამ ურთიერთობას?

– როდესაც მშობელი ცოცხალია, მის ხელთ არსებულ ქონებაზე დავას აზრი არა აქვს. ვის დარჩება მისი ქონება, ეს თავად მშობელმა უნდა განსაზღვროს. თუ მშობელი უმწეო მდგომარეობაშია და დახმარებას საჭიროებს, შვილების მოვალეობები მის წინაშე თანაბარია. აუცილებლობის შემთხვევაში, თითოეული შვილის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. თუ შვილები ყურადღებას არ აქცევენ მშობლებს, ხანდაზმულ დედას ან მამას შეუძლია ხელშეკრულება გააფორმოს ნებისმიერ პირთან, რომელიც მის მოვლა-პატრონობას იკისრებს და თავისი ქონება იმ ადამიანს დაუტოვოს, რომელიც მოუვლის. ქონებრივი ურთიერთობის ამ ფორმას „სამიდღემშიო რჩენა“ ჰქვია და მის ოფიციალურ გაფორმებას ხელშეკრულება სჭირდება.

– ქართული ტრადიციაა, რომ მთელი ქონება უმცროს ვაჟს რჩება, დაოჯახებულ ქალიშვილს კი ხშირად წილის გარეშე ტოვებენ. ამის თაობაზე რას გვეტყვით?

– გეთანხმებით, რომ ეს ჩვენი ტრადიციაა, რომელიც უძველესი დროიდან მოდის, მაგრამ კანონი ამ საკითხს სულ სხვაგვარად უყურებს: კანონის წინაშე ყველა შვილი თანასწორია, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. მოხუცი მშობლის მოვლა-პატრონობა ევალება იმ შვილს, რომელიც მშობლის სახლში ცხოვრობს და იმასაც, ვინც მასთან არ ცხოვრობს. კანონი არ ითვალისწინებს, რომ დედ-მამის ქონება ყოველთვის უმცროსისაა ან ყველაფერი ვაჟს უნდა დარჩეს, ქალიშვილი კი გათხოვდეს და ოჯახიდან არანაირი წილი არ წაიღოს. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ მათი ქონება ყველა შვილზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

– ბატონო ირაკლი, ასეთი სახის ქონებრივი დავა თქვენს პრაქტიკაშიც ყოფილა?

– რა თქმა უნდა, ჩემთვისაც მოუმართავს პიროვნებას, რომელიც მშობლების ოჯახში ცხოვრობდა და ეგონა, რომ მთელი ქონება მას ეკუთვნოდა. არადა, ძმა, რომელიც ცალკე ცხოვრობდა და მეათედი წვლილიც არ შეჰქონდა მშობლების მოვლა-პატრონობაში, სრულუფლებიანი მემკვიდრე იყო და ისევე ეკუთვნოდა წილი მშობლების ქონებიდან, როგორც მას.

სახლ-კარი და ქონება მხოლოდ ერთ შვილს ეკუთვნის, მაშინ რა ხდება?

– თუ ამგვარი ანდერძი არსებობს და მასში წერია, რომ მშობელზე ერთმა შვილმა უნდა იზრუნოს, ამ შემთხვევაში მემკვიდრე ეს შვილი ხდება, მაგრამ სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებს უფლება აქვთ, სავალდებულო წილი მოითხოვონ – ეს იმის ნახევარია, რაც მათ ეკუთვნოდათ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში. შეიძლება ერთ-ერთი შვილი სხვა ქვეყანაში იყოს წასული და წლების განმავლობაში იქ ცხოვრობდეს, მაგრამ მაინც მოითხოვოს მემკვიდრეობაზე თავისი უფლება. თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც მშობლის გადასაწყვეტია, ვის აირჩევს მემკვიდრედ და ვის დაუტოვებს თავის ქონებას.

– ქონებრივი დავა მაშინაც წარმოიშობა, როდესაც მშობლები გაყრილები არიან: ტრადიციის მიხედვით, ამ დროსაც მშობლის მოვლა მის ოჯახში მყოფ შვილს ევალება...

– ასეთი დავა ყველაზე ხშირად მაშინ წარმოიქმნება, როდესაც მამაკაცს (ან ქალს) მეორე ოჯახი აქვს და პირველ ქორწინებაში გაჩენილ შვილებს არ სურთ მასზე ზრუნვა. ჩვენი კანონმდებლობა ამ შემთხვევაშიც შეუვალია: თუ შვილს მემკვიდრეობის უფლება არა აქვს ჩამორთმეული, მაშინ ის სრულუფლებიანი მემკვიდრეა და დედის ან მამის მოვლა-პატრონობა მაინც ევალება. მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში მის ყველა შვილს თანაბარი უფლებები აქვს მის ქონებაზე – სულაც არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქორწინებიდან არის გაჩენილი. თუმცა, გამონაკლისი აქაც არსებობს: თუ შვილი, რომელიც მშობელზე არ ზრუნავდა, თავის წილზე ნებაყოფლობით იტყვის უარს, მაშინ მშობლის ქონება იმ შვილს დარჩება, რომელიც მის ჭერქვეშ ცხოვრობდა, უვლიდა და მასზე გამუდმებით ზრუნავდა. თუ მშობელი უმწეო მდგომარეობაშია და რომელიმე შვილი ჯიუტად თავს არიდებს მასზე ზრუნვას ან სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადახდას, შეიძლება მემკვიდრეობის უფლებაც ჩამოერთვას. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ფაქტებიც ხდება.

„2017 წელს ყველაზე მხარჯველი ტურისტები დსთ-ს რეგიონიდან იყვნენ“

1.9 მილიონით მეტი ვიზიტორი შემოვიდა საქართველოში და ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან კარგია, – ასე აფასებს კომპანია „თრეველ შოპის“ დამფუძნებელი ნიკა მანჯგალაძე ტურიზმის სექტორის მონაცემებს და გასულ წელს ტურიზმისთვის „კარგ წელს“ უწოდებს.

ტურისტული ბიზნესის აქტიური წარმომადგენლის თქმით, 2017 წელს ყველაზე მხარჯველი ტურისტები საქართველოში რუსეთიდან შემოვიდნენ.

ფინანსურად მომგებიანი ტურისტები ქვეყანაში სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან იყვნენ, გაიზარდა მოთხოვნა და, პრაქტიკულად, ყველა რეისი ჩამომსვლელების მხრიდან დაკავებულია.

მისი თქმით, ევროპიდან განსაკუთრებული, მზარდი მოთხოვნა არ ყოფილა, მითუმეტეს, რომ ევროპელები საქართველოში მოგზაურობისას დიდ თანხებს არ ხარჯავენ. საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა ასევე ყაზახეთისთვისაც, თუმცა მათ სპეციფიკური ტურები აინტერესებთ, მაგალითად, ბორჯომი.

ვიზიტორების დიდ ინტერესს კახეთის რეგიონი იწვევს, სადაც ყოველ წელს ბევრი ახალი სასტუმრო იხსნება.

რაც შეეხება საქართველოდან მოგზაურებს, მისი თქმით, ქართველებში შეიცვალა ტენდენცია, მათ დაიწყეს საკუთარი მოგზაურობის წინასწარ დაგეგმვა და განსაკუთრებული ინტერესი ევროპისკენაა მიმართული, მათ შორის ესპანეთში, იტალიაში და ა.შ.

გამსვლელთა მზარდი რიცხვის მიუხედავად, ქვეყანაში მაინც უფრო მეტი ტურისტი შემოდის, ვიდრე გადის.

ამასთან, მანჯგალაძე აღნიშნავს, რომ ქართველებმა ჯგუფური მოგზაურობის დაგეგმვაც დაიწყეს, მაგალითად, საკონცერტო ტურებისთვის, რაც სიახლეა.

მანჯგალაძე ვიზალიბერალიზაციის შემდეგ მობრუნებული ტურისტების სიმცირეზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ეს ქართველი მებაჟეების დამსახურებაცაა, ხდება ორმაგი კონტროლი და, შესაბამისად, საქართველოს უკრაინაზე მცირე მაჩვენებელი აქვს.

რაც შეეხება ავიაბილეთების ფასებს, მისი თქმით, ბილეთები მნიშვნელოვნად გაძვირდა ლარში, რადგან წინა წლებში ლარის კურსი ევროსთან მიმართებით ბევრად დაბალი იყო, დღეს კი 3.14-ია, რაც აძვირებს ავიაბილეთის ღირებულებას.

2017 წელს ევროპაში 171.000-ზე მეტი მიგრანტი ჩავიდა, 3.000 კი გზაში დაიღუპა

2017 წელს ევროპაში ჩასული მიგრანტებისა და ლტოლვილების რაოდენობა 171.000-ს აჭარბებს, ხოლო 3.000 გზაში დაიღუპა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აქვეყნებს.

– 2017 წელს ევროპაში ზღვით 171.635 მიგრანტი და ლტოლვილი შემოვიდა“, – აღნიშნა ჟენევაში გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯოელ მილმანმა და განმარტა, რომ საუბარია წინასწარ მონაცემებზე.

მისივე თქმით, აღნიშნულიდან 119 ათასი მიიღო იტალიამ, 29 ათასზე მეტი საბერძნეთმა, 21 ათასზე მეტი ესპანეთმა და 1.000-ზე მეტი კვიპროსმა. 2016 წელს მათი საერთო რაოდენობა 363 ათასს აჭარბებდა.

ხმელთაშუა ზღვაში 2017 წლის 1-ლი იანვრიდან 20 დეკემბრამდე 3.116 ადამიანი დაიღუპა. 2017 წელს ყველაზე რთულად აფრიკიდან იტალიამდე მარშრუტი დარჩა.

რა შემთხვევაში დაგიბრუნდებათ მატარებლის ბილეთის ღირებულება

ეკონომიკის მინისტრის 29 დეკემბრის ბრძანებით, რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულება დამტკიცდა.

დებულების მიხედვით, მგზავრის მოთხოვნის შემთხვევაში, რკინიგზა ვალდებულია მგზავრობის დაწყებამდე მიაწოდოს ინფორმაცია: ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მგზავრობის შეწყვეტა ან დაგვიანება; მატარებლის ვაგონში ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ; პრეტენზიების წარდგენის პროცედურების შესახებ; მატარებლით ველოსიპედის გადატანის/ტრანსპორტირების შესაძლებლობის და პირობების შესახებ; მწევლებისა და არამწევლებისათვის განკუთვნილი ადგილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პირველი და მეორე კლასის ვაგონებში ადგილების, ძილისთვის განკუთვნილი ადგილების და საძილე ვაგონების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ.

– თუ გონივრული ვარაუდის საფუძველზე მოსალოდნელია ბილეთში მითითებულ დანიშნულების საბოლოო პუნქტში 60 წუთზე მეტი დაგვიანებით ჩასვლა, მგზავრს უფლება აქვს: აუნაზღაურდეს ბილეთის მთლიანი ღირებულება მგზავრობის იმ მონაკვეთზე ან მონაკვეთებზე, რომლებიც არ განხორციელდა და იმ მონაკვეთზე ან მონაკვეთებზე, რომლებიც უკვე განხორციელდა, თუ ისინი აღარ ემსახურება მგზავრის თავდაპირველ მგზავრობის გეგმას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მგზავრი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამგზავრების პირველ პუნქტში დაბრუნების მომსახურებით, პირველივე შესაძლებლობისთანავე; გააგრძელოს მგზავრობა ან შეიცვალოს მარშრუტი დანიშნულების პუნქტამდე ჩასასვლელად, მსგავსი სატრანსპორტო პირობებით და მგზავრისათვის მოსახერხებელ დროს, – ნათქვამია დებულებაში.

ამასთან, დებულების მიხედვით, დაგვიანებისათვის გადასახდელი კომპენსაციის მინიმალური ოდენობა – 60 წუთიდან 119 წუთამდე დაგვიანების შემთხვევაში – ბილეთის ღირებულების 25%, ხოლო მატარებლის 120 წუთის ან მეტის დაგვიანების შემთხვევაში – ბილეთის ღირებულების 50%-ია.

როგორც დებულებაშია აღნიშნული, მგზავრს დაგვიანებისათვის კომპენსაციის მიღების უფლება არ აქვს, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელი დაგვიანების შესახებ ბილეთის შეძენამდე იყო ინფორმირებული, ან დაგვიანება სხვადასხვა მომსახურების ან მარშრუტის შეცვლის გამო 60 წუთზე ნაკლებია.

– იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დაგვიანება აღემატება 180 წუთს, რკინიგზა ვალდებულია მგზავრებს უსასყიდლოდ შესთავაზოს: ლოდინის დროის შესაბამისად, საკვები და გამაგრილებელი სასმელები, თუ მათი მარაგი არსებობს მატარებელში ან რკინიგზის სადგურში, ან გონივრულად შესაძლებელია მათი მარტივად მიწოდება; როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს, სასტუმრო ან სხვა საცხოვრებელი ადგილი და ტრანსპორტირება რკინიგზის სადგურსა და სასტუმროს/საცხოვრებელ ადგილს შორის, თუ აუცილებელია ერთი ან მეტი ღამით გაჩერება, ან აუცილებელია დამატებითი დროით გაჩერება (აღნიშნული არ ვრცელდება საერთაშორისო რეისებზე); იმ შემთხვევაში, თუ მატარებელი გაჩერდა ლიანდაგზე, ტრანსპორტირება მატარებლიდან რკინიგზის სადგურამდე, ალტერნატიული გამგზავრების პუნქტამდე ან საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე, როდესაც ამის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. თუ სარკინიგზო მომსახურების გაგრძელება შეუძლებელია, რკინიგზამ უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყოს მგზავრები ალტერნატიული სატრანსპორტო მომსახურებით, – ვკითხულობთ დებულებაში.

ეკონომიკის სამინისტრომ კომუნიკაციების კომისიისგან „მაგთიკომის“ შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ ეთანხმება კომპანია „მაგთიკომის“ მიერ მოტანილ არგუმენტებს კომპანიის მიერ მობილური ინტერნეტის საცალო ტარიფების ზრდასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიის განცხადებაში მოყვანილი მიზეზები შესაძლებელია არ ასახავდეს მობილური ინტერნეტის ტარიფების გაძვირების რეალურ მიზეზებს.

ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შპს „მაგთიკომის“ განცხადებაში მოყვანილ მიზეზებთან დაკავშირებით სამინისტრომ უკვე მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და გამოითხოვა ინფორმაცია თუ რა წილი უკავია კომპანიის მიერ დასახელებულ მიზეზებს ტარიფების ზრდაში.

„შპს „მაგთიკომის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან კომპანია „მაგთიკომის“ მიერ ძვირდება მობილური ინტერნეტპაკეტების ტარიფები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მოქმედი, მათ შორის მობილურ ბაზარზე მოქმედი კომპანიების ხელშეწყობის მიზნით. პერმანენტულად მცირდებოდა და მიმდინარე წლის 1 იანვრიდან გაუქმდა მობილურ სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე დაკისრებული აქციზის გადასახადი. საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან გადაიდგა რიგი ნაბიჯები, სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და საცალო ტარიფების კლების ხელშესაწყობად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ ეთანხმება კომპანია „მაგთიკომის“ მიერ მოტანილ არგუმენტებს კომპანიის მიერ მობილური ინტერნეტის საცალო ტარიფების ზრდასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიის განცხადებაში მოყვანილი მიზეზები შესაძლებელია არ ასახავდეს მობილური ინტერნეტის ტარიფების გაძვირების რეალურ მიზეზებს.

სწორედ აღნიშნულის გარკვევის მიზნით, შპს „მაგთიკომის“ განცხადებაში მოყვანილ მიზეზებთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უკვე მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და გამოითხოვა ინფორმაცია თუ რა წილი უკავია კომპანიის მიერ დასახელებულ მიზეზებს ტარიფების ზრდაში“, – აღნიშნულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„პანკისში სპეცსამსახურებმა შეცდომა დაუშვეს“

ვახტანგ მაისაია: „ხელისუფლებამ ბოდიში უნდა მოიხადოს და დამნაშავეები დასაჯოს“

გულიკო ბალაძე

პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციას „ახალ თაობასთან“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აფასებს.

ვახტანგ მაისაია:

– ბევრი კითხვაა, რომლებიც პასუხს მოითხოვს, უშუალოდ მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით. სპეცოპერაციის შედეგად ძალიან ტრაგიკული და ცუდი ვითარება მივიღეთ. პრაქტიკულად, ხელოვნურად დაძაბული სიტუაცია პანკისში, რაც საქართველოს ნამდვილად არათუ არ აწყობს, არამედ ძალიან საშიშია, შეიძლება ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების საბაბი გახდეს. ტყუილად რატომ ვძაბავთ სიტუაციას იმ რეგიონში, რატომ ვტეხთ ჭიქაში ქარიშხალს?! ეს არის მთავარი კითხვა.

– ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ტერორიზმი მეორეხარისხოვანია?

– ტერორიზმზე არ არის საუბარი. ტერორიზმთან ბრძოლა ჩვენი მთავარი პრიორიტეტია, მაგრამ არის მეთოდები და უფრო მაღალი პროფესიონალური დონის ქმედებანი. შეიძლება ისე ჩაატარო ოპერაცია, რომ არავინ დაზიანდეს, უდანაშაულო ადამიანები არ დაზიანდნენ, არ დაითესოს პანიკა და შიში და ისედაც რთულ უსაფრთხოების გარემოს კიდევ ერთი ახალი გამოწვევა არ დავუმატოთ, რომელიც საქართველოს ნამდვილად არ აწყობს და არც უნდა აწყობდეს.

აქ საუბარია სპეცოპერაციის პროფესიონალურად ჩატარებაზე. ისმება კითხვა: რამდენად პროფესიონალურად ჩატარდა ოპერაცია, როცა ახალგაზრდა ადამიანს უვარდები სახლში, ტყვიას ესვრი და მერე ამ ბრალსაც არ უყენებ, ვთქვათ, იმ დანაშაულში, რის გამოც ატარებ აღნიშნულ ოპერაციას? დანარჩენ ოთხ პირზე არ ვსაუბრობ, იყვნენ თუ არა ისინი დამნაშავეები. თუმცა, აქაც არის გარკვეული კითხვები, მათ წინააღმდეგაც არ არის გამომზეურებული.

იმის თქმა, რომ თურმე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საბაბი ჰქონდა და ისე არ დაიწყებოდა სპეცოპერაცია, არაფერს ნიშნავს. ჩვენ ძალიან ბევრი უსაფუძვლოდ დადანაშაულებული ადამიანი გვინახავს. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ადანაშაულებდნენ ადამიანებს ჯაშუშობაში, სხვადასხვა ვირტუალურ დანაშაულში. ჩვენ ვიცით, რამდენი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს, რასაც ვუპირისპირდებოდით. ის რეციდივები, რომელთა გამოც სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდით, არ უნდა მეორდებოდეს.

– ბატონო ვახტანგ, სააკაშვილის დროს, მგონი, თქვენც იყავით ჯაშუშობაში ბრალდებული.

– ჩემზე არ არის საუბარი. ჩემ გარდა, ყოველი მესამე ჯაშუშად იყო შერაცხული. მიხეილ სააკაშვილმა მაგის გამო შეგნებულად 307-ე მუხლი (სამშობლოს ღალატი) გააუქმა. ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ პოლიტიკური რეპრესიები დაიწყებოდა. სამშობლოს ღალატის მუხლი იმიტომ გააუქმა, რომ ეს სახელმწიფო დანაშაულის მუხლები პოლიტიკური რეპრესიებისთვის გამოეყენებინა. როცა იჭერ 300-500 ადამიანს და ეუბნები, რომ ისინი არიან ჯაშუშები, 300-500 ადამიანს ვერ ეტყვი, რომ სამშობლოს მოღალატეები არიან. ყოველი მესამე სამშობლოს მოღალატე როგორ იქნება. ამიტომ სამშობლოს ღალატის მუხლი 2007 წელს მიხეილ სააკაშვილმა შეგნებულად გააუქმა. ცხადი იყო, რომ ის ამ და, მათ შორის, ტერორიზმის მუხლს პოლიტიკური რეპრესიებისთვის გამოიყენებდა.

– სპეცოპერაციიდან დღემდე დრო გავიდა, გარკვეული ინფორმაციაც მივიღეთ. იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც დღეს არსებობს სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, თქვენი ანალიზი როგორია, მაჩალიკაშვილი დამნაშავე ჩანს თუ არა?

– იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც მივიღეთ, მაჩალიკაშვილი დამნაშავე ნამდვილად არ ჩანს.

– ვიდეოკადრებზე რა აზრი დაგრჩათ?

– რაც ვიდეოკადრებში ვიხილეთ, იმის საფუძველზე მაჩალიკაშვილი შეიძლებოდა მოწმის სტატუსით დაკითხულიყო და არა, დავუშვათ, როგორც დანაშაულში მხილებული, თანაც ასეთ მძიმე დანაშაულში. არ შეიძლება, ადამიანებს იარლიყი მიაკერო და დაადანაშაულო 332-ე მესამე ნაწილის პრიმა მუხლით, რომელიც გულისხმობს საშიში დანაშაულის ჩადენას. შეიძლება ტერორისტების გარემოში მას ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ ტერორისტობაში მაჩალიკაშვილის დანაშაულის კვალი არ იკვეთება.

ტერორისტები ასე თავისუფლად დადიოდნენ პოლიციისა და უშიშროების სამსახურების თვალწინ და იცოდნენ, რომ ისინი იყვნენ წითელი ცირკულარით ძებნილები, რას ელოდებოდნენ? იმ დროს, როდესაც ის ადამიანები თავისუფლად დადიოდნენ, მაღაზიებში შედიოდნენ, პოლიცია და უშიშროების რაიონული განყოფილებების წარმომადგენლები რას აკეთებდნენ. თუ მათ არ იციან, რომ ესენი ტერორისტები არიან, საიდან გვეცოდინება ჩვენ, ტერორისტები არიან თუ არა?

– მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ, მაგალითად, ჩატაევი ტერორიზმის ბრალდებით იძებნებოდა.

– როგორც ჩანს, არც ჩატაევის შესახებ იცოდნენ. ორი თვე დადიოდა ჩვენს ქვეყანაში და მერე აღმოაჩინეს იმ ვითარებაში, რომელიც გამოჩნდა.

– გამორიცხავთ, რომ უშიშროების სამსახურებს სხვა მტკიცებულებებიც ჰქონდეთ?

– მე გამოვრიცხავ თუ არ გამოვრიცხავ, არ აქვს მნიშვნელობა. როცა ადამიანს ასეთ მძიმე დანაშაულს აბრალებენ, კეთილი ინებონ და აჩვენონ უტყუარი მტკიცებულებები, რომ შემდგომში არც ჩვენ და არც არავის გაუჩნდეს იოტისოდენა ეჭვი. მე ვენდობი მტკიცებულებებს, ფაქტებსა და დოკუმენტებს. ჩემთვის ის მტკიცებულებები, რომლებიც თუნდაც იოტისოდენა ეჭვს იწვევს, ელემენტარულად, ადამიანის უფლებების საშიში დარღვევაა. არ მაინტერესებს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს რა ინფორმაციები ჰქონდა, რომ მათ თურმე ინფორმაციები ჰქონდათ და ტყუილად არ დაიჭერდნენ, ეს ზღაპრები გავიარეთ. დიდი ხანია უნდა შევმდგარიყავით დემოკრატიულ და სამართლიან სახელმწიფოდ, სადაც სამართალი უზენაესი ღირებულებაა.

გვიჩვენეს ტერორისტებთან მაჩალიკაშვილის სატელეფონო საუბრები, იგივე, ვთქვათ, ჩატაევთან? წარმოგვიდგინეს სხვა მტკიცებულებები, ვთქვათ, სხვა პირებთან საუბრების შესახებ, რომლებიც აიყვანეს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ოპერაციის დროს? თუნდაც მათი ჩვენება გვიჩვენეს? არ გვიჩვენეს. საიდან ამტკიცებენ, რომ ეს ადამიანი იყო ტერორისტების მხარდამჭერი და დამფინანსებელი? ის რომ დაჰყვებოდა ადამიანებს, არაფერს ნიშნავს. ჩეჩნური, ვაინახური კულტურა ტრადიციების მოყვარულია. იერარქიულად, მათი ტრადიციებით, სტუმარი ყველაზე პატივსაცემი ადამიანია, მით უმეტეს, ჩამოსული. იქ უფრო მეტად არის განვითარებული კლანური და შიდა ტრადიციული პატივისცემის კულტურა, ვიდრე ქართველებში. ამიტომ, როცა გასული საუკუნის მუნჯური კინოსავით ფირს მტკიცებულებად გვიჩვენებ და ამბობ, ტერორისტებთან ჰქონდა კავშირიო, არ შეიძლება.

– გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ხომ შეიძლება, ჯერ არ ახმოვანებდნენ?

– თუ აქვთ. მაშინ სპეციალისტებსა და ამ დარგის მცოდნე ექსპერტებს აჩვენონ მტკიცებულებები. იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რომლებიც არის დღეს, მე აშკარა უკმაყოფილების გრძნობა შემექმნა. წამების კადრები ხომ აჩვენეს, ისე აჩვენონ მტკიცებულებები, რომლებიც გააჩნიათ. სანამ არ იქნება მყარი მტკიცებულებების ჩვენება, ბოდიში, ორი თვე გადის, წინასწარი გამოძიების ვადა იწურება, რაღაც სერიოზული დანაშაული უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული.

– შეიძლება შეცდომა იქნა დაშვებული. ასეთ სიტუაციაში ვითარების განსამუხტავად ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს?

– თუ შეცდომაა დაშვებული, ხელისუფლებამ ბოდიში უნდა მოიხადოს და დამნაშავე დასაჯოს. ასეთია სამართლებრივი სახელმწიფო. ეს უკვე ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის ნიშნებია.

– მამა ამბობდა, თუ ხელყუმბარა ეჭირა, რატომ არ იყო სისხლიანიო.

– ყუმბარა ეჭირა? სპეცსამსახურები ხელყუმბარას არ აჩვენებენ. ექსპერტიზაც არ არის ჩატარებული.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპეცრაზმელმა შევარდნის მომენტში ვერ გაიაზრა, რა ეჭირა ხელში მაჩალიკაშვილს?

– ამ შემთხვევაში სპეცრაზმელის ბრალი კი არ არის, არამედ მისი, ვინც ეს ოპერაცია ამგვარად დაგეგმა. შეიძლება სპეცრაზმელმაც ვერ გამოიჩინა პროფესიონალიზმის მაღალი დონე, შეიძლება სტრესულ მდგომარეობაში გაისროლა, მაგრამ ვინც გასცა ბრძანება ამ ოპერაციის ჩატარებაზე, ის უნდა დაისაჯოს. მაჩალიკაშვილი შეიძლებოდა მოეწვიათ მოწმის სტატუსით, დაეკითხათ დუისის პოლიციის შენობაში. იქიდან ვერ გაიქცეოდა, თუ დასაპატიმრებელი იყო.

– ბოდიშის მოხდა სიტუაციას განმუხტავს?

– ბოდიშის მოხდა და დამნაშავის დასჯა აუცილებელია.

– თქვენ თვით, ჯერ კიდევ არ არის წაყენებული ბრალდებაო. უგონო მდგომარეობაში მყოფი პირისთვის ბრალის წაყენება შეიძლება?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. თუ არსებობს მტკიცებულებები, უგონო მდგომარეობაში ყოფნა ბრალის წაყენებას არ გამორიცხავს. ელემენტარული სამართლებრივი პროცედურაა.

ყალბი დოკუმენტის, ბეჭდისა და შტამპის დამზადება-გასაღების ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1966 წელს დაბადებული მ.ფ. და 1969 წელს დაბადებული ი.მ., ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის და ბლანკის დამზადების, გასაღების და გამოყენების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული ჯარიმას ან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თბილისში, დიღმის მასივში მდებარე შპს „გადამზიდი 2012“-ის თანამშრომელი – მ.ფ., გარკვეული ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, მოქალაქეებს პასპორტებში სხვადასხვა ქვეყნის ყალბი შტამპებისა და ბეჭდების დასმას სთავაზობდა, რომლებსაც მისი თანამზრახველი ი.მ. უმზადებდა.

სამართალდამცველებმა, „გადამზიდი 2012“-ის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, 18 პასპორტი, ხოლო ი.მ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – 5 პასპორტი, თუნუქის კოლოფში მოთავსებული სამელნე, ასევე, სხვადასხვა ზომისა და ფორმის 28 შტამპი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ავტოავარია თბილისში – დაღუპულია სამი ადამიანი

ავტოავარია მოხდა თბილისში. მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან „მერსედესის“ მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად მანქანაში მსხდომი სამი მამაკაცი გარდაიცვალა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სახანძრო-სამაშველო ბრიგადა.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

კასპში ავარიას 11 წლის ოზურგეთელი ბავშვი ემსხვერპლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისფერდის მცხოვრები 11 წლის მარიამ გობრონიძე გუშინ თბილისი-ხაშურის ავტომაგისტრალზე (კასპის მონაკვეთი) მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

უბედური შემთხვევის მიზეზი მძღოლის დაუდევრობა გახდა. თვითმხილველთა თქმით, ბავშვი მაღაზიიდან სახლში ბრუნდებოდა (კასპში მარიამის დედას საკუთარი სახლი აქვს), როცა მსუბუქი ავტომანქანა ჯერ ბორდიურს შეეჯახა, შემდეგ კი – ქვეითად მოსიარულე ბავშვს.

გარდაცვლილი მარიამ გობრონიძე ოზურგეთის 2006-10 წლების მოწვევის საკრებულოს დეპუტატისა და ამჟამად ოზურგეთის სარაგბო კლუბ „არწივების“ თანამშრომლის გელა გობრონიძის შვილიშვილია.

მარიამი მშობლების ერთადერთი შვილი იყო.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

როგორი იქნება 2018 წელი უკრაინისათვის

რუსეთ-უკრაინის ომი რუსეთ-დასავლეთს შორის მზარდი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. უკრაინაში ერთმანეთს რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ის ინტერესები შეეჯახა. მოსკოვს უკრაინის ფედერალიზაცია და მისი ხავერდოვანი დაშლა სურს, ევროპას – მშვიდობა ნებისმიერ ფასად. აშშ რუსეთის აგრესიის განეიტრალებაში უკრაინას თავის მოკავშირედ აღიქვამს. ვაშინგტონს ერთიანი, დამოუკიდებელი, ძლიერი, უნიტარული უკრაინა სჭირდება.

– შესაბამისად, რუსეთი იკვეთება, როგორც ჩვენი მტერი, ამერიკა კი – როგორც მოკავშირე, – აცხადებს ტელეკომპანია მე-5 არხი.

განვლილი 2017 წელი რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებში სისხლისღვრებით აღინიშნა. ცხარე შეტაკებები დონბასში, დივერსიები, ტერორი და საბოტაჟი უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე, მცდელობები, აემხედრებინათ უკრაინისათვის მეზობლები (უნგრეთი, რუმინეთი, პოლონეთი).

სეპარატისტების ყველა მცდელობა, დონბასში კონტროლირებადი ტერიტორია გაეფართოებინათ, ამაო გამოდგა. წინ უკრაინულმა არმიამ წაიწია. ასევე წარუმატებლად დასრულდა უკრაინის შიგნით დესტაბილიზაციის აგორების ან უკრაინის საერთაშორისო იზოლაციის მცდელობაც.

– კიევური ჩიხი. ეს ტერმინი შემთხვევით როდია გამოყენებული! რუსულ- უკრაინული ურთიერთობები მართლაც ჩიხში შევიდა, – აღიარებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი.

არსებობს თუ არა გამოსავალი ჩიხიდან? ალბათ არსებობს, თუმცა 2018 წელს ეს, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება. მარტში რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. 2018 წლიდან იანვარ-მარტამდე რუსეთი დათმობებზე არ წავა და შეეცდება, უკრაინაში თავისი პოზიციები გააძლიეროს. არსებობს მეორე ფაქტორიც: მიმდინარე წლის ზაფხულში რუსეთი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, ამიტომ ზაფხულში დონბასში ესკალაციას მოერიდება. ამას გარდა, მოსალოდნელია დასავლეთის მიერ რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება. 2018 წლის შემოდგომისათვის მოსკოვს უკრაინის მიმართ ძალისმიერი ზეწოლის პოლიტიკის გატარება გაუძნელდება.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, რუსეთი დროშია შეზღუდული. 2018 წლის იანვარ-მაისი მისი უკანასკნელი შანსია, რათა აიძულოს უკრაინა, დონბასს განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭოს და გაეროს სამშვიდობოების განთავსების რუსულ სქემას დაჰყაბულდეს, – წერს პოლიტოლოგი ტარას ჩერნოვილი.

დონბასისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებით უკრაინის ფედერალიზაციის პროცესი დაიწყება. ეს კრემლის სანუკვარი ოცნებაა. შესაბამისად, 2018 წლის იანვარ-მაისში უკრაინაში რუსული აგენტურის გააქტიურებაა მოსალოდნელი. დღეს უკრაინაში კასტურ-ოლიგარქიული რეჟიმის რღვევის პროცესი დაიწყო. ცვლილებები გარდაუვალია. რუსეთიც ყველაფერს იღონებს, რათა სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდეს და სისხლი დაიღვაროს.

– ესკალაცია დონბასში, შეთქმულებები, დივერსიები, პროვოკაციები, ტერორი და საბოტაჟი უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე – აი, სქემა, რომლითაც პუტინი 2018 წლის იანვარ-მაისში იმოქმედებს, – წერს პოლიტოლოგი ტარანი.

თუ პუტინმა ამ პერიოდში თავისი მიზნების მიღწევა ვერ შეძლო, უკვე შემოდგომაზე, არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძალისმიერ პოლიტიკაზე უარის თქმა და რეალურ მოლაპარაკებებზე წასვლა მოუწევს. როდის და რა შედეგებით დასრულდება ეს მოლაპარაკებები, რა კომპრომისზე წავლენ მოსკოვი და კიევი, დღეს ამის თქმა ძნელია. ცხადია მხოლოდ ის, რომ პროცესი 2018 წელს არ დასრულდება. რუსეთ-უკრაინის წინააღმდეგობა გაგრძელდება. უკრაინას ხსნის ორი გზა რჩება: ეროვნული კონსოლიდაცია და საერთაშორისო სოლიდარობა. უმთავრესი ალბათ ეროვნული კონსოლიდაცია იქნება, რაც საერთაშორისო თანადგომის უმთავრესი გარანტია.

– უკრაინის ბედი უკრაინაში წყდება! რომ გავიმარჯვოთ, მთელი ჩვენი ერის კონსოლიდაციაა აუცილებელი, – ამბობს უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი ევგენი მარჩუკი.

შეძლებს ამას თანამედროვე უკრაინა?

ტრამპი: „ჰილარი კლინტონი რუსებთან იყო შეკრული!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ბრალდება მისი რუსებთან კავშირის შესახებ სისულელეა. პრეზიდენტმა დაიწყო მტკიცება, რომ მოსკოვთან ის კი არა, მისი კონკურენტი ჰილარი კლინტონი იყო დაკავშირებული.

– ჰილარი კლინტონი რუსებს შეეკრა! ჩემ წინააღმდეგ არსებობდა შეთქმულება, რომელშიც გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსდირექტორი კომი, ჰილარი კლინტონი და რუსები მონაწილეობდნენ! – განაცხადა ტრამპმა.

სენატორი კარდინი: „ადამიანის უფლებების დარღვევას არ შევეგუებით!“

ამერიკელმა სენატორმა ბენ კარდინმა განაცხადა, რომ აშშ ადამიანის უფლებების სადარაჯოზე კვლავაც მტკიცედ დგას. კარდინმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა, ვინც ადამიანის უფლებებს არღვევს, დაისჯება.

– ჩვენ გაგვაჩნია ქმედითი ინსტრუმენტი იმ მოღვაწეთა წინააღმდეგ, რომლებიც დემოკრატიის პრინციპებს არას დაგიდევენ. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ირანელი აიათოლა იქნება, ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი თუ რუსეთის პრეზიდენტი, – განაცხადა კარდინმა.

„ტრამპის დოსიეს“ ავტორს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ელის?!

„ტრამპის დოსიეს“ ავტორი კრისტოფერ სტილი შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ. ამას გავლენიანი სენატორები ლინდსი გრემი და ჩაკ გრასლი მოითხოვენ. მათ საგანგებო წერილით მიმართეს როგორც აშშ-ის გენერალურ პროკურორს, ასევე იუსტიციის მინისტრსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს. სენატორები ამბობენ, რომ ე.წ. ტრამპის დოსიე მარჯვედ შეთითხნილი ნაყალბევია.

– ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ სტილმა მართლაც იცრუა! უბრალოდ, ჩვენს ეჭვებს გამოვთქვამთ! ყველაფერი საგანგებოდ უნდა გადამოწმდეს და, თუკი ეჭვი გამართლდა, სტილმა პასუხი უნდა აგოს, – წერენ სენატორები.

კიმ ჩენ ინს კორეის გაერთიანება სურს

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ სამხრეთ კორეასთან მჭიდრო კავშირი აუცილებელია. ეს შესაძლოა ორი ქვეყნის გაერთიანების საფუძველი გახდეს.

– კორეა უნდა გაერთიანდეს. ეს ჩვენი ცხოვრების უმთავრესი მიზანია, – ამბობს კიმ ჩენ ინი.

დიქტატორის აზრით, ერთადერთი ძალა, რომელიც ამ ქვეყნების გაერთიანებას ხელს უშლის, აშშ-ია. სამხრეთს კორეის პრეზიდენტი ამას არ ეთანხმება.

– ჩრდილოეთ კორეაში არაადამიანური რეჟიმია! ეს კორეის გაერთიანების უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორია, – თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბრონაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: ნერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

შოთა არველაძე: „ფეხბურთი მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები არ არის“

ქართველი სპეციალისტი შოთა არველაძე უზბეკურ ფახთაქორს 2017 წლის ზაფხულში ჩაუდგა სათავეში და ტაშკენტურ გუნდს ბრინჯაოს მედალი უკვე მოაპოვებინა.

სეზონის დასრულების შემდეგ არველაძე უზბეკეთში წლის საუკეთესო უცხოელ მწვრთნელად დაასახელეს.

არველაძე უზბეკეთში წასვლამდე მანამდე თურქეთში მოღვაწეობდა და იქაურ ქაისერს, ქასიმფაშასა და ტრაბზონს წვრთნიდა.

44 წლის სპეციალისტის ინტერვიუ უზბეკურ მედიაში გამოქვეყნდა.

– თქვენ ფახთაქორი სეზონის შუა ნაწილში ჩაიბარეთ. რა დასკვნები გამოიტანეთ გუნდის თამაშიდან და როგორ შეაფასებდით იმ პერიოდს, რომელიც აქ გაატარეთ?

– პირველ ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ მიზანი, რომელიც ჩემი მოსვლის შემდეგ დავისახეთ, შესრულებულია. გვსურდა, სამეულში დაგვესრულებინა ასპარეზობა და მესამე ადგილზე გავედით. ამასთანავე, საშინაო კედლებში თამაში არ წაგვიგია. მეტიც, ყველა მოვიგეთ. ველით 4 დეკემბერს უზბეკეთის თასს, ლოკომოტივსა და ბუნედკორს შორის და ლოკომოტივის გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენ საგზურს აზიის ჩემპიონთა ლიგაზე მივიღებთ.

– ფახთაქორში მისვლის შემდეგ რა სირთულეები შეგხვდათ?

– არ იყო ადვილი, სუპერკლუბის გაწვრთნის გამოწვევა მიმეღო. ვიცოდი, რომ რთული და შორეული გზა უნდა გამევლო. საბოლოოდ, ეს გზა ავირჩიე და მჯერა, რომ დასახულ ყველა მიზანს მივაღწევ. ვიცოდი, რატომ და რისთვის გადავდგი ეს ნაბიჯი. რაც მთავარია, ჩვენ არ ვფიქრობთ მხოლოდ დღევანდელობაზე, კლუბის ყველა ფეხბურთელი და პრეზიდენტი სამომავლო გეგმებისკენ იხედება და გვსურს ვიყოთ ძლიერი გუნდი.

– მეორე წრეში ფახთაქორში ლეგიონერები გამოდიოდნენ. გუნდმა ზაფხულში 4 უცხოელი დაიმატა, თუმცა, ხალხი ფიქრობს, რომ მხოლოდ მარკო სიმიჩმა გაამართლა. რას იტყვით ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა, ყველას გვსურს მათგან მეტი, მაგრამ ზოგი მხოლოდ სტატისტიკურ ციფრებს უყურებს. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა ვინ ლეგიონერია და ვინ ადგილობრივი მოთამაშე, ვინც კარგად წარმოაჩენს თავს, ის ითამაშებს. კანიუკი, ტიაგო და გრიფიციც, სიმიჩთან ერთად, კარგი ფეხბურთელები არიან.

– ეთანხმებით იმას, რომ კარგ ლეგიონერს მაღალი დონის მწვრთნელი უნდა ჰყავდეს?

– დიახ, ვეთანხმები და ასეც უნდა იყოს. ლეგიონერისთვის უცხო ქვეყანაში თამაში საკმაოდ რთულია: ახალი ქვეყანა, ახალი გუნდი, ახალი ქალაქი, ახალი გარემო, ახალი კულტურა, ახალი კერძები და ა.შ. ამ დროს მას ადაპტაციაში კარგი მწვრთნელი უნდა დაეხმაროს და ფსიქოლოგიურად უნდა დაუდგეს გვერდით. მწვრთნელი ამ დროს დიდ როლს ასრულებს ფეხბურთელის ასპარეზობის კუთხით.

– გუნდში მისვლის შემდეგ არსებული ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ხართ?

– რა თქმა უნდა, არიან ფეხბურთელები, რომელთა მუშაობაც მომწონს, თუმცა კონკრეტულად მათ გვარებს ვერ დავასახელებ. ასევე, დაინტერესებული ვართ ახალი ფეხბურთელებით, რომელთაც სხვა კლუბებთან აკავშირებთ კონტრაქტები. აქედან გამომდინარე, არ ვფიქრობ, რომ რომელიმე მოთამაშის გამოყოფა სასარგებლო იქნება.

– რას ფიქრობთ უზბეკურ ფეხბურთზე? რომელ დადებით და უარყოფით მხარეებზე ისაუბრებდით?

– არ მესმის, აგვისტო-სექტემბერში როგორ შეუძლიათ გუნდებს შუადღის 3-4 საათზე თამაში. როდესაც უზბეკეთში პირველად ჩამოვედი, ამ ფაქტმა ძალიან გამაკვირვა.

– რას იტყვით უზბეკ გულშემატკივრებზე?

– იცით, რომ ფეხბურთი ყველას სპორტია. შეუძლებელია, გულშემატკივარი არ იყოს თამაშის დროს ერთ-ერთი მთავარი ნაწილი. ფეხბურთი არ არის თეატრი, ან ოპერა, სადაც შუა მიმდინარეობისას სიჩუმეა საჭირო.

– ფახთაქორში გამართული 14 მატჩიდან რომელს გამოარჩევდით?

– ყველას, რადგან ნებისმიერი მატჩის შემდეგ საჭირო იყო გამეკეთებინა სწორი ანალიზი, თუმცა მაინც ლოკომოტივთან პრინციპულ შეხვედრაში მოგებას გამოვარჩევ, მაგრამ როგორც იმ თამაშში, ნებისმიერ სხვა მოგებულ მატჩებში 3 ქულაზე მეტი არ მიგვიღია.

– სეზონი დასრულდა. როგორია ახლა თქვენი გეგმები?

– პირველ ყოვლისა, უნდა გამოვიტანოთ სწორი დასკვნები. რა თქმა უნდა, გვქონდა მეტის სურვილი, რადგან მოლოდინი იყო, მაგრამ მივიღეთ ასეთი შედეგი. ერთი ოჯახი ვართ, ყველა ყველას ვენდობით.

ქუთაისი პირველზეა, თუმცა ლიდერი დინამოა

სოხუმი-ქუთაისი 65:81
(14:20, 19:15, 19:22, 13:24)

სოხუმმა ქუთაისს უმასპინძლა და, მიუხედავად იმისა, რომ ღირსეული ბრძოლა გაუმართა, საბოლოოდ მაინც სოლიდური სხვაობით დამარცხდა – 65:81.

სადღეისოდ, იმერული კლუბი დაკარგული ქულებით მხოლოდ დინამოს ჩამორჩება, სოხუმს კი მიმდინარე ჩემპიონატში ერთადერთი გამარჯვება აქვს და ბოლო ადგილზე იმყოფება. შესაბამისად, ფავორიტად ქუთაისი იყო მიჩნეული და გუნდმა გაამართლა კიდეც ეს სტატუსი, თუმცა ისე დამაჯერებლად ვერ იმარჯვა, გუნდის ხელმძღვანელობა რომ ისურვებდა.

სოხუმელებმა ცუდად დაიწყეს, 0:7 ჩამორჩნენ, თუმცა შემდეგ თამაში გამოასწორეს და პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიშიც გაათანაბრეს. დიდ შესვენებაზე ქვეყნის ვიცეჩემპიონი მხოლოდ 2 ქულას – 35:33 იგებდა.

მესამე მეოთხედში სტუმრებმა კვლავ ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ სოხუმელები ბოლომდე იბრძოდნენ და სადამდეც კლასი და შემართება ეყოთ, წარმატების შანსს ინარჩუნებდნენ. ბოლო პერიოდის დასაწყისში სტუმართა ლიდერობა 5 ქულამდე შემცირდა და ბოლო წუთებამდე გუნდებს შორის სხვაობა 10 ქულას არ გადასცილებია. დასკვნით მომენტში კი ფავორიტმა საკუთარი ძალა ბოლომდე წარმოაჩინა და თავის გამარჯვებას დამაჯერებელი სახე მისცა – 81:65.

ქუთაისში 15 ქულითა და 6 პასით საუკეთესო იყო დეჟუან რაითი. 12 ქულა და 8 მოხსნა რიჩარდ მათიაშვილმა მიითვალა, ხოლო ჯონათან ლის ანგარიშზეც 12 ქულა დაგროვდა. შეხვედრის საუკეთესო შედეგი სოხუმელმა კვან უოლერმა დაფიქსირა 26 ქულით. სერგეი პრიმაკმა შეხვედრა 15 ქულით დაასრულა.

ოლიმპი-ბათუმი 69:64
(15:16, 18:20, 19:15, 17:13)

ერთმანეთს ცხრილის შუაში, გვერდიგვერდ მყოფი გუნდები შეხვდნენ. ორივე გუნდს ამ მატჩამდე 7 მოგება და 5 მარცხი ჰქონდა, შესაბამისად, ორივესთვის მეტად პრინციპული დაპირისპირება გახლდათ.

მოედანზე ორივე გუნდი საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით გავიდა: ოლიმპს ტრავმის გამო მიხეილ ჭოჭუა და მარკ ოგდენი აკლდა, ხოლო ნიკა დარბაიძემ პირველ ტაიმში მუხლი იტკინა და მოედანზე ვეღარ დაბრუნდა. ბათუმელებმა გუნდიდან იშმაელ ჰოლისი გაუშვეს, ხოლო სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ 3 კალათბურთელი ჰყავდათ.

შეხვედრა თანაბარი გამოდგა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა წინ დამაჯერებლად გაჭრას. თავდაპირველად გალიდერდნენ ბათუმელები, რომლებმაც პირველი პერიოდი 1 ქულით მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა მცირედით გაზარდეს – 36:33.

მესამე მეოთხედში ოლიმპმა თამაში გამოასწორა და 7-ქულიანი ჩამორჩენა (36:43) მეოთხედის ბოლომდე 1-ქულიან ლიდერობად აქცია.

დასკვნით პერიოდში ორივე გუნდის მოთამაშეები პერსონალურებით დაიტვირთნენ და მოედნიდან ერთმანეთის მიყოლებით გავარდნენ თბილისელთა მხრიდან რევაზ როგავა და გეგი ბაქრაძე, ხოლო ბათუმელთაგან სპენსერ კოლინსი და ვახტანგ ქადარია. შეხვედრა ქულა-ქულაში გაგრძელდა და მატჩის ბოლოსწინა წუთზე ანგარიში თანაბარი იყო. ბოლო წუთზე გივი ბაქრაძემ ორქულიანი ჩააგდო და ოლიმპი 66:64 დაანინაურა, ხოლო საპასუხო შეტევაში უკრაინელმა ლეონიდ სტეპანიშინმა სამქულიანი ააცილა. დარჩენილ წამებში ბათუმელებს ტაქტიკური ჯარიმით ვითარების გამოსწორების შანსი შერჩათ, თუმცა მერაბ ბოქოლიშვილმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და ოლიმპს გამარჯვება გაუნაღდა.

თბილისელებს 25 ქულით მორის ჰილმა ულიდერა. 14-14 ქულით დაასრულეს შეხვედრა გივი ბაქრაძემ და მერაბ ბოქოლიშვილმა. ბათუმში 22 ქულით ბომბარდირი სპენსერ კოლინსი გახდა, ხოლო სერბმა, სტეფან ანდრეიევიჩმა შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი – 16 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	13	10	3	1113:1002	23
2.დინამო	11	10	1	945:787	21
3.ოლიმპი	13	8	5	1033:955	21
4.რუსთავი	12	8	4	980:917	20
5.ბათუმი	13	7	6	995:918	20
6.კაკეტუსი	13	6	7	1018:1069	19
7.მგზავრები	12	4	8	909:1009	16
8.დელტა	13	3	10	997:1122	16
9.სოხუმი	14	1	13	1029:1240	15

კოუტინიო ბარსელონელია

ზაფხულიდან მოყოლებული საგა იანვარში დასრულდა და ბარსელონას სასარგებლოდ გადაწყდა. ფილიპე კოუტინიომ ლივერპული დატოვა და კატალონიურ კლუბს შეუერთდა.

25 წლის ბრაზილიელი ახალ კლუბთან 5-ნახევარ წლიან (2017-18 წლების სეზონის დარჩენილი ნაწილი და 5 წელი) კონტრაქტს მოაწერს ხელს. ახალი კონტრაქტის მიხედვით, კოუტინიოს გამოსასყიდი თანხა 400 მილიონი ევრო იქნება.

თავად კატალონიელებმა კი ბრაზილიელი ფეხბურთელის ტრანსფერში 160 მილიონი ევრო გადაიხადეს.

ამგვარად, კოუტინიო ფეხბურთის ისტორიაში მეორე ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა. ამ მაჩვენებლით, მისი თანამემამულე, ბარსელონის ყოფილი თავდამსხმელი, ნეიმარი ლიდერობს, რომელიც ზაფხულში ფრანგულმა პარი სენ-ჟერმენმა 222 მილიონ ევროდ შეიძინა.

იურგენ კლოპი:

– ჩვენ ვემშვიდობებით კარგ მეგობარს, შესანიშნავ ადამიანს და ფანტასტიურ ფეხბურთელს, ფილიპე კოუტინიოს. საიდუმლო არ არის, რომ მას ივლისიდან მოყოლებული სურდა კლუბის დატოვება. ის მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და ეს ტრანსფერი გარდაუვალი იყო. ჩვენ ვცდილობდით მის გადარწმუნებას, რათა დარჩენილიყო და ყოფილიყო ჩვენი საქმის ნაწილი. მინდა გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ ლივერპულმა ყველაფერი გააკეთა, რათა კოუტინიოს პოზიცია შეეცვალა. ამავდროულად, ეს მისი ოცნებაა და ამ საკითხში ჩვენ უძლურნი ვართ. 5 წლის განმავლობაში, მან ამ კლუბში ბევრი საქმე გააკეთა და იმედგაცრუებულნი ვართ, რომ მას ამ ურთიერთობის გაგრძელება არ სურს. გასაგებია, რომ გულშემატკივრებიც იმედგაცრუებულნი არიან, რადგან ასეთ დროს გვიწევს დავემშვიდობოთ ჩვენთვის განსაკუთრებულ ადამიანს. ეს რთულია, თუმცა ფეხბურთის ნაწილია – ყველას თავისი საკუთარი მიზანი და ოცნება აქვს.

ლივერპულში კი უფრო სხვაგვარად ფიქრობენ და კოუტინიოს მაისურებს წვავენ. თავად კლუბი კი, წლევანდელი მაისურის მფლობელ ადამიანებს 50 გირვანქა სტერლინგის ვაუჩერს გადასცემს.

მთელი ამ დროის მანძილზე სოციალურ ქსელში ლივერპულის ფანები ავრცელებენ ფოტოებს, სადაც ისინი ბრაზილიელის 10 ნომრიან მაისურს წვავენ. ლივერპული ამ მაისურის მფლობელებს კლუბის ოფიციალურ მაღაზიაში ვაუჩერი დახვდება.

მაისურის მფლობელებს არ ევალებათ მაისურის დაბრუნება ან ჩვენება, საკმარისია მაისურის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩააბარონ ან სპეციალური ფორმა შეავსონ, ამიტომ სქაუზერებს თამამად შეუძლიათ, „ცეცხლს მისცენ“ 10-ნომრიანი მაისური.

ზაზა ჯანაშია ზუგდიდის მფლობელია

საფეხბურთო კლუბ ზუგდიდის მფლობელი ამავე გუნდის დირექტორი, საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ზაზა ჯანაშია გახდა.

ზუგდიდის აუქციონზე იყო გატანილი და ჯანაშიამ კლუბის 100%-იანი წილიც ელექტრონული აუქციონის საშუალებით შეისყიდა. შესასყიდი ფასი კი 61.000 ლარია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული აუქციონი 2017 წლის 28 დეკემბერს დაიწყო და 2018 წლის 5 იანვარს დასრულდა.

პირობების მიხედვით, ელექტრონული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, ხელშეკრულება ზუგდიდის მერიასა და შემძენს შორის 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გაფორმდეს.

საფეხბურთო კლუბ ზუგდიდის 100%-იანი წილის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას საკრებულომ 21 დეკემბრის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით დაუჭირა მხარი.

გია ცეცაძემ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 19-24 იანვარს საწვრთნელ შეკრებას თურქეთში ჩაატარებს. ეს იქნება პირველი შეკრება, რომელსაც ნაკრების ახალი მწვრთნელი გია ცეცაძე გაუძღვება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ შეკრების თარიღი ფიფას მიერ შერჩეულ დღეებში არ შედის.

შეკრების ფარგლებში 21-წლამდელები ერთ ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ – 23 იანვარს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ქალაქ ღარაში აზერბაიჯანს შეხვდება.

გია ცეცაძემ უკვე შეარჩია გაფართოებული შემადგენლობა, საიდანაც აარჩევს თურქეთში წასაყვან ფეხბურთელებს.

მეკარეები: ლევან შოვნაძე, გიორგი ჩოჩიშვილი, ოთო გოშაძე;

მცველები: რომან ჩაჩუა, ანრი ჭიჭინაძე, დავით კობოური, აკაკი შულაია, გურამ გიორბელიძე, ირაკლი კომახიძე, ლუკა გადრანი, გიორგი ქანთარია, ავთანდილ გუჯაბიძე, ანდრო გიორგაძე;

ნახევარმცველები: დავით სამურკასოვი, პაატა ღუდუშაური, გაბრიელ საღრიშვილი, ნიკოლოზ ბაშელეიშვილი, გიორგი ხარებაშვილი, ლევან მაჭარაშვილი, ლუკა ნადირაძე, ირაკლი რუხაძე;

თავდამსხმელები: ბექა მიქელთაძე, ვატო არველაძე, ბექა ქავთარაძე.

შედეგები

6 იანვარი

ფეხბურთი

ესპანეთი. პრემიერლიგა

ატლეტიკო-ხეტაფე	2:0
ვალენსია-ხირონა	2:1
ლას პალმასი-ეიბარი	1:2
სევილია-ბეტისი	3:5

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	17	14	3	0	45-7	45
2.ატლეტიკო	18	11	6	1	27-8	39
3.ვალენსია	18	11	4	3	38-18	37
4.რეალი	16	9	4	3	30-14	31
5.სევილია	18	9	2	7	23-27	29
6.ვილიარეალი	17	8	3	6	24-20	27
7.ეიბარი	18	8	3	7	24-30	27
8.ბეტისი	18	7	3	8	30-34	24
9.ხეტაფე	18	6	5	7	22-18	23
10.ხოსიედადი	17	6	5	6	31-29	23
11.ხირონა	18	6	5	7	22-28	23
12.სელტა	17	6	3	8	30-25	21
13.ბილბაო	17	5	6	6	18-19	21
14.ლეგანესი	16	6	3	7	12-14	21
15.ესპანიოლი	17	5	5	7	14-21	20
16.ლევანტე	17	3	9	5	15-22	18
17.ალავესი	17	5	0	12	13-25	15
18.დეპორტივო	17	4	3	10	19-34	15
19.მალაგა	17	3	2	12	13-31	11
20.ლას პალმასი	18	3	2	13	14-40	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-კორდობა	3:2
კადისი-გრანადა	1:0
რაიო-ხიმნასტიკი	2:3
რეუსი-ალკორკონი	1:1
სარაგოსა-ბარსელონა ბ	1:1

იტალია. სერია ა

ტორინო-ბოლონია	3:0
მილანი-კროტონე	1:0
ნაპოლი-ვერონა	2:0
სპალი-ლაციო	2:5
ბენევენტო-სამპდორია	3:2
ჯენოა-სასუოლო	1:0
რომა-ატალანტა	1:2
კალიარი-იუვენტუსი	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	20	16	3	1	44-13	51
2.იუვენტუსი	20	16	2	2	49-15	50
3.ინტერი	20	12	6	2	35-15	42
4.ლაციო	19	12	4	3	48-24	40
5.რომა	19	12	3	4	30-14	39
6.სამპდორია	19	9	3	7	36-29	30
7.ატალანტა	20	8	6	6	31-26	30
8.უდინეზე	19	9	1	9	33-27	28
9.ფიორენტინა	20	7	7	6	29-21	28
10.ტორინო	20	6	10	4	28-27	28
11.მილანი	20	8	4	8	25-27	28
12.ბოლონია	20	7	3	10	23-30	24
13.კიევო	20	5	7	8	20-32	22
14.ჯენოა	20	5	6	9	16-22	21
15.სასუოლო	20	6	3	11	13-30	21
16.კალიარი	20	6	2	12	18-31	20
17.სპალი	20	3	6	11	21-38	15
18.კროტონე	20	4	3	13	13-38	15
19.ვერონა	20	3	4	13	18-41	13
20.ბენევენტო	20	2	1	17	13-43	7

საფრანგეთი. თასი

ნანსი-ლიონი	2:3

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბრაგა-რიუ ავე	2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-კერკირა	3:1
პაოკი-ლევადიაკოსი	5:0
პანეთოლიკოსი-აეკი	1:4

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

ინდოელმა საკუთარი წმინდანობის დასამტკიცებლად მანქანა პენისით გასწია

ინდოელმა ბერმა გადაწყვიტა, საკუთარი წმინდანობა დაემტკიცებინა და საკუთარი პენისით მიკროავტობუსი გასწია.

ბერმა ეს მახა კუმბახა მელას მასობრივი მომლოცველობის დროს ქალაქ ალახაბადში გააკეთა. მასზე მთელი ქვეყნიდან ათასობით მომლოცველი ჩამოდის და თავს იყრიან იმ ადგილზე, სადაც ერთმანეთს ერწყმის სამი წმინდა მდინარე: განგი, იამუნა და სარასვატი.

ინდუიზმში სადხუ არის ასკეტი, რომელმაც უარი თქვა ყველაფერზე, ამქვეყნიურ სიამოვნებებზე. ადამიანები მათ დიდ პატივს სცემენ და მათი წყევლის ეშინიათ. ითვლება, რომ საკუთარი სულიერი პრაქტიკით სადხუ აუმჯობესებს არა მხოლოდ საკუთარ, ასევე ყველა ადამიანის კარმას. სადხუსთვის საერთო სულიერი პრაქტიკა არ არსებობს: ზოგი გამოქვაბულში მიდის საცხოვრებლად, ზოგი წლობით ერთსა და იმავე პოზაში ზის, ზოგიერთი კანაფს ეწევა და ამით კოსმოსისა და ღმერთის ბუნებას ეზიარება.

ავტოავარიაში დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და ბუჩქებში გაიყინა

ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკის მცხოვრები ბუჩქებში გაიყინა, სადაც ის ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ იმალებოდა და რომელშიც დამნაშავე თავად იყო.

34 წლის მარკ ჰენდერსონმა შუქნიშნის წითელ ფერზე გაიარა. მისი ამ ქმედების შედეგად გზაზე ერთმანეთს ოთხი მანქანა დაეჯახა. პასუხისგების თავიდან ასაცილებლად ჰენდერსონმა გადაწყვიტა, შემთხვევის ადგილიდან მიმალულიყო.

მისი გაყინული სხეული ავტოსაგზაო შემთხვევიდან მეორე დღეს ჰენდერსონის მეგობარმა გოგონამ აღმოაჩინა. ექიმების დასკვნაში ნათქვამია, რომ მამაკაცი ფარდულსა და ღობეს შორის იწვა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ჰენდერსონი სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლდა.

ისრაელში გასუქებული ზღარბები დიეტაზე დასვეს

ებრაელმა სპეციალისტებმა მკაცრ დიეტაზე დასვეს 10 ზღარბი, რომლებიც მეტისმეტად იყვნენ გასუქებული. ცხოველებს ასევე ფიზიკური ვარჯიშებიც დაენიშნათ.

ცხოველთა დამცველებმა განმარტეს, რომ ზღარბების გასუქება ქუჩებში ჭამამ განაპირობა.

– ბევრი ადამიანი სახლთან საკვებს ტოვებს უპატრონო კატებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ... პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობენ სხვა ცხოველებიც, რომლებიც ამ საკვებს მიირთმევენ, – განაცხადა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის აქტივისტმა ბექა რიფკინმა.

ერთ-ერთი მოზრდილი ზღარბი, რომელიც ორი თვის წინ ნახეს, 1,6 კილოგრამს იწონიდა, იმაზე თითქმის ორჯერ მეტს, რამდენსაც სინამდვილეში უნდა იწონიდეს. დიეტის წყალობით მან წონაში უკვე დაიკლო 120 გრამი.

ჯერჯერობით ცხოველები რამატ-განის ზოოპარკში იმყოფებიან, ხოლო როგორც კი ისინი ნორმალურ წონას დაიბრუნებენ, მაშინ დააბრუნებენ ბუნებაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი მახარაძე თურქეთიდან თბილისში დაბრუნდა

მსახიობი გიორგი მახარაძე თურქეთიდან თბილისში დაბრუნდა.

მას ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და დამატებითი გამოკვლევების ჩასატარებლად თურქეთში გაემგზავრა

თბილისში დაბრუნებულმა გიორგიმ თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით უახლესი ინფორმაცია გაავრცელა:

– ჩამოვედი თურქეთიდან, ჩამიტარდა ყველა საჭირო გამოკვლევა უმაღლესი დონის სპეციალისტებთან, რაც, რა თქმა უნდა, თქვენი დახმარების გარეშე ვერ მოხერხდებოდა, რის გამოც კიდევ ერთხელ გიხდით უდიდეს მადლობას ყველას...?

დამისვეს დიაგნოზი, რომელიც აქ დასმული დიაგნოზის იდენტურია და დამინიშნეს შესაბამისი მკურნალობა, ქიმიოთერაპია, რომელსაც უახლოეს დღეებში ვიწყებ. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

3 თვეში ისევ მიწევს ჩასვლა და გადამოწმება, თუ როგორ ჩაიარა მკურნალობამ... რაც შეეხება ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას, ინტერვიუებს და ა.შ... მინდა იცოდეთ, რომ რასაც მე დავწერ, მხოლოდ ეს არის სიმართლე და ნუ მიაქცევთ ყურადღებას სხვა ინფორმაციას, ათასნაირი ინტერპრეტაციით იწერება რაღაცები და არ მინდა, შეცდომაში შეგიყვანონ, ყველა საჭირო ინფორმაციას მოგაწვდით პირადად მე...

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს, შობას და მთელი გულით გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს, ჯანმრთელობასა და სურვილების ასრულებას.

თქვენ ძალიან ბევრი გააკეთეთ ჩემთვის, ძალიან დიდი სიყვარული და თანადგომა ვიგრძენი, იმხელა, რომ ამას სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ძალიან დიდი მადლობა, ძალიან მიყვარხართ და ყველაზე მაგრები ხართ, უღრმესი მადლობა.

ტარიელ ხარხელაური: „იპოვეთ უფალი თქვენში“



ასე მიმართავს შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე პოეტი ტარიელ ხარხელაური მკითხველს:

– გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ, ჩემთან ერთად გეცხოვროთ ისეთ წუთისოფელში, როცა „არა კაც ჰკლა“ და „გიყვარდეს მოყვასი შენი“-ს განცდა ჩვენი ფიქრის მუდმივ საფიქრლად არ იქცევა.

იპოვეთ უფალი თქვენში... აღივსენით რწმენით, კაცთმოყვარეობით, რომ ვისწავლოთ მიტევება. გავხსნათ კარნი გულისა, დავისახლოთ სიყვარული ნათელი წუთისოფლისა, გაიღეთ სითბო უხვად, გაიღეთ, რათა დამშვიდდეს სული მბორგავი მსოფლიოსი, შეიტანეთ სიწმინდე სამყაროთა ქაოსში...

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, მრავალს დაესწარით... თქვენით სავსე და უთქვენოდ მტვერზეც მცირე ტარიელ ხარხელაური.

ვანის ქვაბებში „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ნიმუში გაანადგურეს

ვანის ქვაბების კედელზე დაწერილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუში განადგურებულია.

გიორგი მაღრაძე ინტერნეტში ეკლესიის კედლის ფოტოს ავრცელებს, სადაც წარწერები ტაძარში ვიზიტორთა სახელებით არის გადაჯღაბნილი:

– „შეგნებული ქვეყანა“! ვანის ქვაბების ეკლესიის წარწერები... რუსთაველის ქვეყანა გვქვია და „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუში, XV საუკუნის, ამ დღეშია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სჯანვოხდი



1. საქონლის შემოტანა უცხოეთიდან; 2. საცხოვრებელი სადგომი სახლის სხვენზე; 3. გერმანული ავტომარკა; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. ნიავი; 6. დიდი ჩაქუჩი; 7. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა; 8. ნამუსი; 9. ერთჯერად თამაშზე უარის წამოძახილი ბანქოს ზოგიერთ თამაშში; 10. ... კურისავა; 11. პურსაცხობი; 12. ქართული გაზეთი; 13. ... ელექტრა; 14. უსიტყვო როლის შემსრულებელი მსახიობი; 15. მუზეუმი მადრიდში; 16. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 17 ლეოპარდი; 18. ქალაქი საფრანგეთში; 19. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი; 20. ზღვისგან გამოყოფილი წყალმარჩხი ყურე ან უბე; 21. „... ვხედავ მზეს“; 22. ჯარი; 23. ჰონდურასის ფულის ერთეული; 24. ალკოჰოლიანი სასმელი; 25. ბრიტანეთის ... (სახელმწიფო); 26. ერთგვარი ყელსახვევი; 27. კუბურ-ესპანური ცეკვა; 28. ფრანგი პოეტი (მე-19 ს.ს.); 29. ბერძნული ანბანის ასო; 30. მუსიკალური გამის მე-9 საფეხური.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფოტონი; 2. ხამონი; 3. ბოლივუდი; 4. ტრიუმი; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. შპინდელი; 12. მუშაითი; 16. იალტა; 17. ქანდა; 18. ნანდუ.

თარაზულად: 1. ფერხისა; 5. კაკაო; 7. ბონდერი; 9. ოოლოგია; 10. მურილიო; 13. სანდალი; 14. აპნისი; 15. შუმი; 19. ვახშამი; 20. რაფინადი; 21. ნაფტალინი; 22. ჰიტროუ.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფლობერი; 2. ბულბული; 3. ნიაღვარი; 4. ბესიკი; 5. ფორტუნა; 8. მიჩმანი; 9. მისისიპი; 12. ჰელვეცია; 13. უდინეზე; 16. სარასატე; 17. რადიუმი; 19. ემისია; 20. ბორანო.

თარაზულად: 6. ალტრუიზმი; 7. მეეზოვე; 8. მუღამი; 10. შერბური; 11. ლუდი; 14. ბადაგონი; 15. ალკატელი; 18. ფაველა; 21. მაზანდა; 22. კონგო; 23. ამქარი; 24. პერგამონი.

სპორტი

გოლდენ სტეიტი იგებს და იგებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დასკვნით წუთებში მასპინძლებმა იძალეს და გამარჯვება იზეიმეს.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 28 წუთში 15 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 5-დან 4 ორქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. ქართველი ფორვარდის ეფექტურობის ინდექსმა 22-ს უწია, რაც ბასკონიელთაგან საუკეთესო შედეგი იყო და 2 ერთეულით ჩამორჩა ფენერბაჰჩელი ბრედ უონამეიქერის მონაგარს.

შეგახსენებთ, რომ ევროლიგაში 16 გუნდია, რომლებიც 2 წრედ თამაშობენ და საუკეთესო 8 გუნდი პლეი ოფში გადის. ამ მომენტისთვის 16 ტურია გამართული და ბასკონიელებს 7 მოგებით მე-9 ადგილი უკავიათ. შემდეგი ტურში შენგელიას გუნდი ბერძნულ ოლიმპიაკოსს უმასპინძლებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, 18 წლის გოგა ბითაძემ მეგა ბიმაქსს ადრიატიკის ლიგაზე სლოვენიური ოლიმპია დაამარცხებინა. სერბულმა გუნდმა ქართველი ცენტრის ორმაგი დუბლის წყალობით სლოვენიის მრავალგზის ჩემპიონი სტუმრად, ლიუბლიანაში დაამარცხა – 76:69.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ქართველი ახალგაზრდა დასახელდა, რომელმაც 23 წუთში 12 ქულა, 10 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა. ბითაძემ 5-დან 3 ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. გოგა მოედანზე იყო მატჩის გადამწყვეტ წუთებში, როცა მეგა ბიმაქსმა 6-ქულიანი ჩამორჩენა 4 წუთში 7-ქულიან ლიდერობად აქცია. ქართველმა ლეგიონერმა აღნიშნულ ეპიზოდში არაერთი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და მეტოქის აცილებულები მოხსნა, რითაც სერბულ კლუბს გამარჯვებაში დაეხმარა.

მეგა ბიმაქსში 19 ქულით ბომბარდირი გახდა და პლუს 7 პასიც მიითვალა ნიკოლა რებიჩმა, რომელმაც ქართველი თანაგუნდელის მსგავსად მარგი ქმედების კოეფიციენტი 25-მდე გაზარდა, თუმცა შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ გოგა ბითაძე დასახელდა.

მეგა ბიმაქსს 5 მოგება და 10 მარცხი დაუგროვდა და 12-გუნდიან ადრიატიკის ლიგაში მე-9 ადგილზე იმყოფება. შემდეგ მატჩს ბითაძის გუნდი შინ მონტენეგროულ ბუდუჩნოსტთან ჩაატარებს.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

8 იანვარი

ვერძი – მოულოდნელი ახალი ამბავი დაგაღონებთ. ახალი გატაცება ქალებისთვის ხანმოკლე აღმოჩნდება. **კურო** – შორს გამგზავრებაზე უარი თქვით. დღეს მხოლოდ ჩვეული საქმეებით დაკავდით. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა უმჯობესდება. **ტყუპები** – ახალი საქმის დასაწყებად ერთობ შეუფერებელი დღეა. ნუ გარისკავთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ ვითარებაში თავს ლაღად გრძნობთ. გიმართლებთ ყველაფერში. **ლომი** – დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა გმართებთ. ზედმეტი მიმნდობლობა შეცდომის დაშვების ალბათობას ზრდის. **ქალწული** – ფინანსური ოპერაციებისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. აქტიურობა დღეს დაუშვებელია. **სასწორი** – ყოფითი საკითხების მოგვარებას ვარსკვლავები არ გირჩევენ. უკმაყოფილო და გაღიზიანებული ხართ. **ღრიანკალი** – ახლობლებთან რთული ურთიერთობა გაქვთ, რაც, პირველ რიგში, თქვენი ბრალია. ნუ იქნებით კატეგორიული და სულსწრაფი. **მშვილდოსანი** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **თხის რქა** – ნურაფერს დაგეგმავთ. რისკი გაუმართლებელია. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო და შემოქმედებითი პოტენციალი მაღალია. გრძელვადიანი გეგმები ამართლებს. **თევზები** – ოჯახში ურთიერთობები სტაბილურდება. უსიამოვნებების დავიწყებაში ახლობლები დაგეხმარებიან.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ალილოზე მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და მოხუცებისთვის საჩუქრები შეგროვდა

7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, მთელ საქართველოში ალილოს მსვლელობა მოეწყო. მეალილოეებმა საქართველოს ყველა რეგიონში შეაგროვეს ტკბილეული და საჩუქრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და პანსიონატებში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის.

ალილოს ტრადიცია 2001 წლიდან მისი უწმინდესობის ინიციატივით აღინიშნება. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ფორმაში ჩაცმული ადამიანები, ზოგი მწყემსია, ზოგი – მოგვი. პატარა ბავშვებს ანგელოზის ფორმები აცვიათ. ეს ნიშნავს გაცოცხლებას იმ სახარებისეული ამბებისა, რომელიც 21 საუკუნის წინ მოხდა, როდესაც მაცხოვარი იშვა ამქვეყნად. როგორც ანგელოზებისაგან ეხარათ მწყემსებს და მოგვები ჩამოვიდნენ უცხო ქვეყნიდან მის თაყვანსაცემად, სწორედ ამის გაცოცხლებაა დღევანდელ დღეს. ჩვენ ვართ ქრისტეშობის მახარობლები.

საქართველოში შობას ალილოობის ტრადიცია არსებობს. უკვე საუკუნეებია, ქართველები ალილოობის მონაწილეებსა და მიმლოცველებს სხვადასხვა საჩუქრით ხვდებიან: ფულით, ფქვილით, ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული ღორის ხორცით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა და, რა თქმა უნდა, კვერცხით, აჯილდოებდა მეალილოეებს შობის სიმბოლოთი, რომელიც სულ მალე, აღდგომას, ქრისტეს ჯვარცმის ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს, ქრისტეს აღდგომის მახარობლებს მიერთმეოდა. კვერცხით, რომელიც ოდითგან საუცხოო საჩუქრად ითვლებოდა. და ვაი, მას ვინც ძღვენს დაინანებდა. ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში, მათ შორის ყოველ მეალილოეში ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესაწირიც იყო და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც!

7 იანვარს შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს ყველა მართლმადიდებელ ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინა.

ბიბლიის მიხედვით, ისრაელი იმ დროისათვის რომის იმპერატორს ემორჩილებოდა. ერთხელაც იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, ყველა ჩემი ქვეშევრდომი იმ ქალაქში ჩაეწეროს, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენო. იოსებისა და მარიამის მშობლიური ქალაქი ბეთლემი იყო. ისინი გაემგზავრნენ ბეთლემისკენ და, როცა ქალაქში მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ხალხის ჩამოსვლის გამო ბეთლემი გადავსებული იყო. ამიტომ, რადგან ბინა ვერ იშოვეს, ქალაქის განაპირას, მწყემსების გამოქვაბულს შეაფარეს თავი. სწორედ ამ ღამეს დაუდგა მარიამს მშობიარობის დრო. შვა ვაჟი – ძე ღვთისა. მწყემსებმა, რომელნიც ქალაქის სიახლოვეს ცხვარს აძოვებდნენ, ცაში დაინახეს ნათება და ბრწყინვალე ანგელოზი, რომელმაც ხალხს მაცხოვრის დაბადება ახარა.

შობა ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი სულიერი დღესასწაულია. მას ეგებებიან ლოცვით, მარხვით, აღსარებით, ზიარებით. საქართველოში შობას ძველი სტილით, ანუ იულიუსის კალენდრის მიხედვით აღნიშნავენ. იულიუსის კალენდარი 325 წელს მიიღო ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და ჩვენი ეკლესია მას დღემდე იცავს.

ალილოობა გასული საუკუნის 90-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივით აღდგა. განახლებული ალილო 2000 წლიდან აღინიშნება. საქართველოში ალილოს ტრადიციას მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც მხოლოდ ერთხელ დაირღვა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. დღესდღეობით ალილოს ზეიმობენ სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ, როდესაც მრავალი ეკლესიის მრევლი უერთდება ალილოს მსვლელობას. მასზე დასწრება კი ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თბილისში საშობაო ალილო „ვარდების მოედნიდან“ დაიწყო. სასულიერო პირებმა საკმევლის კმევითა და ნაკურთხი წყლის პკურებით მოგვებთან, მწყემსებთან და მახარობლებთან ერთად საშობაო მუსიკისა და გალობის ფონზე გაიარეს რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, ბარათაშვილის ხიდი და ბოლოს სამების ტაძართან მივიდნენ. მსვლელობის მონაწილეებს წინ მიუძღოდათ შობის ხატი. მსვლელობას წელსაც თეატრალური სახე ჰქონდა. პროცესიის წინ თეთრ სტიქარში გამოწყობილი პატარები მიდიოდნენ. მათ მიჰყვებოდნენ მწყემსები და სასულიერო პირები.

მეალილოეებმა მსვლელობის განმავლობაში მოსახლეობის მიერ შეწირული ტკბილეული შეაგროვეს. მათ საშობაო საჩუქრები გადასცეს თბილისის მერმა კახი კალაძემ, პარლამენტის

თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ და პარლამენტარებმა.

ალილოზე შეგროვილი ნობათი მეალილოეებმა სამების ეკლესიაში მიიტანეს. საჩუქრები დახარისხდება და ბავშვთა სახლებზე, მოხუცთა თავშესაფრებსა და გაჭირვებულ მოსახლეობაზე გადანაწილდება.

მარიამ ხაჭვანის განცხადებაზე მოკვლევა დაიწყო

– რას გვერჩიან, ვინმე გაგვაგებინებს? – კითხულობს რეჟისორი მარიამ ხაჭვანი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებს, რეაგირება მოახდინოს მის განცხადებაზე:

– მთელი ღამის უძილო, საშინლად გამწარებული და გაბრაზებული ვწერ ამ სტატუსს!

ყველამ თუ არა უმეტესობამ მაინც იცის, რომ ვარკეთილი 3 მიკრორაიონის მერვე განყოფილების პოლიციამ, რომლის პოლიციის მუშაკები გამოირჩევიან განსაკუთრებული აგრესიით მოქალაქეების მიმართ, ორი წლის უკან ოთხი ოჯახის წევრი დამიჭირეს, ვიღაც უგუნური პოლიციელების უვიცობის გამო ჩემ ოჯახის წევრებს დაარქვეს „სვანური დაჯგუფება“, გამოიწვიეს ბიჭები, მიაყენეს შეურაცხყოფა... ესეც ნაწილობრივ ჩემი ბრალია, ფილმში გადასაღებად ჩამოვიყვანე უშგულიდან ბიჭები და იმ ღამესვე დაიჭირეს.

დღეს ამ ბიჭებს პრობაციები აქვთ, მონაწილეობენ ჩემს სრულმეტრაჟიან ფილმ „დედე“-ში და ვერ დადიან ფესტივალებზე, იმიტომ რომ საზღვრის გადაკვეთის ნებართვას ფული სჭირდება...

ვინც არ იცის, შევახსენებ, რომ ამ ფილმმა საქართველოს ბევრ ქვეყანაში მოუტანა სახელი, ფილმი ახლა ათენში გადის და ასევე გავა ათამდე ქვეყნის კინოთეატრებში, ამ ეტაპის მდგომარეობით, აღებული აქვს 11 პრიზი და მათ შორის აზიის ოსკარზე მოიგო იუნესკოს პრიზი, როგორც კულტურული მრავალფეროვნება. იმედია, გესმით, რა მნიშვნელობა აქვს ამ ჯილდოს ქვეყნისთვის!!!

წუხელ ჩემმა ორმა ოჯახის წევრმა, ერთ-ერთმა პრობაციონერმა, გადმოჭრა გზა ჩვენი სახლისკენ სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში. შოკოლადზე გავაგზავნე მაღაზიაში, სცენარზე ღამე ვმუშაობ, მაპატიეთ...

დეტალურად ვწერ:

ბიჭებს ფეხებთან უმუხრუჭებს მოძრაობის საწინააღმდეგოდ წამოსული პოლიციის მანქანა, მანქანიდან სამი პოლიციელი გადმოდის და ერთი ახალგაზრდა, ახალბედას ძალა ერჩოდა 30-35 წლის, მაღალი, ბიჭებისკენ გაიწია და პირადობა მოსთხოვა, ერთმა ბიჭმა მათ მიერ ერთხელ უკვე გაწირულ პრობაციონერმა უთხრა, რომ აქვე ვცხოვრობ და ჩამოვიტან პირადობას, რა დროსაც პოლიციელმა სახეში მაგრად გაარტყა, პრობაციონერმა მის თანმხლებს უთხრა, რომ მობილურით გადაეღო ვიდეო, მეორე ბიჭმა მობილური ამოიღო, გადაღების დასაწყებად, რა დროსაც პოლიციელმა მასაც სახეში სილა მაგრად გააწნა და ტელეფონი დააგდებინა, ბიჭს უნდოდა მიწიდან აეღო ტელეფონი, რის მერეც პოლიციელი იარაღით დაემუქრა „გესვრიო“, არ აიღოო და დაიწყო გინება.. ერთ-ერთ მათგანს სახეზე ხელი ეტყობოდა.

მე ხმაური გავიგე და მაშინვე გავედი, ვერ ვიჯერებ, რატომ არ გაუსწორდნენ პოლიციელებს სამაგალითოდ ეს ბიჭები უპრობლემოდ მიაკრობდნენ ასფალტზე სამივეს, მაგრამ დედაჩემისა და ჩემ დანახვაზე პოლიციელები მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

რა თქმა უნდა, ბიჭებს დაჭერის მიზეზი ვერ უნახეს, გაჩხრიკეს, მერე ერთ-ერთი განყოფილებაში მიჰყავდათ, გადავამოწმებთო და, ჩვენ რომ დაგვინახეს, გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანი უკვე ხმამაღლა ყვიროდა, რა გინდათო, ვიდეოს გადაღებას მთხოვდა, პოლიციელები იმედგაცრუებულები დაბრუნდნენ. მაგრამ მდგომარეობის შესასწავლად ისევ ჩვენს ქუჩაზე ჩამოიარეს, შეშინებულები ჩვენს რეაქციებს აკვირდებოდნენ, რა დროსაც მანქანის ნომრები ამოვიწერე!

იმწუთას ისეთ შოკში ვიყავი, ვერ ვხვდებოდი, რა მოხდა, ერთი ასეთი სიმწარე უკვე გამოვიარე, ჩემ თვალწინ დაიჭირეს მაშინ ოთხივე.

ორი კვირის წინ დედაჩემი იყო ცუდად, წამალზე გაიქცნენ ბიჭები მანქანით, აქეთობისას პოლიცია დაედევნა, სახლის კართან გაუჩერა მანქანა და ბიჭებს გამოწვევა დაუწყო!

ხელები მიკანკალებს, ისეთი აღელვებული ვწერ ახლა...

მაინტერესებს, როდემდე უნდა გრძელდებოდეს ამ ქვეყანაში მსგავსი ქმედებები?

მოვუწოდებ პრემიერს, გადაამოწმოს ვარკეთილი 3-ის მერვე განყოფილება, ამ პოლიციელების ამგვარი ქმედება მთლიანად სისტემას აყენებს ეჭვის ქვეშ!

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიძებნებით ვარკეთილის მერვე განყოფილებაში!

რატომ არ გვაცდიან ცხოვრებას? ისედაც დიდი ტრაგედიები გადავიტანეთ!

რას გვერჩიან, ვინმე გაგვაგებინებს?

მეგონა, რომ ორი წლის წინანდელი კოშმარი დამთავრდა, კოშმარი, რომელსაც ნაწილობრივ ჩემი უძვირფასესი ბიძის რამაზ ჩარკვიანის სიცოცხლე შეეწირა!

სახლში ისე არ მოვსულვარ, სასწრაფო რომ არ დამხვედროდა!

დაუსჯელობის სინდრომი ყველაფრის უფლებას რატომ აძლევს ზოგიერთ პოლიციელს?

რატომ აბოროტებენ ახალგაზრდებს, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ?

რატომ იჭერს უდანაშაულო ახალგაზრდებს?

ზუსტად ასეთი პოლიციელების გამო. პოლიციამ დაკარგა ხალხში სახელი!

რატომ გვაიძულებთ, დავტოვოთ საქართველო?!

მოვითხოვ ამ პოლიციელების სამაგალითოდ დასჯას.

ვწერ მანქანის ნომერს: OT-398-TO

გენინსპექციაში დარეკილია! მიეცით პასუხისგებაში!

სამწუხაროდ, ყოველღამე თუ არა, ხშირად გვიწევს უმეტესად აფთიაქში და მაღაზიებში ბიჭების გაგზავნა! ვინც ჩვენი ოჯახის მდგომარეობა იცის, მიხვდება.

ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს გარეთ გასვლის!

ჩვენ არა!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არაფერს ვაშავებთ!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – ველოდები გამოხმაურებას!!!

ვისაც გინდათ, რომ ეს ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, უკეთესობისკენ შეიცვალოს, გამოხატეთ თქვენი აზრი ღიად!

თუ ვინმე პატივს მცემს მე და ჩემს ოჯახს, დაგვიდექით გვერდში, გთხოვთ.

ვითხოვთ, 333-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით დაისაჯოს ის პოლიციელი, რომელმაც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ათასჯერ გადაამეტა!

წუხელ ერთი ზონდერი პოლიციელი ჩემი ოჯახის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდა, ისე, როგორც ამ ტიპის არაადამიანებს სჩვევიათ!

არ დავჯერდებით ჯარიმას და თანამდებობის დატოვებას, ვითხოვთ პატიმრობას!!! ხოლო, დამნაშავე პოლიციელის თანმხლებ ორ კოლეგას ვურჩევდი, გამოძიებას მისცენ რეალური ჩვენება, არ დამალონ ფაქტები, თორემ, მე როგორც ვიცი, ხელშეწყობისთვის არსებობს კანონმდებლობითი გათვალისწინებული მუხლი, დანაშაულის ქმედებაში თანამონაწილეობა და, იმედს გამოვთქვამ, არ დამჭირდება მათ მიმართ მსგავსი სამართლებრივი ბერკეტების გამოყენება!

საშინლად გამწარებული: მარიამ ხაჭვანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 8 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტრო ვეტრინე**" **10.00, 03.14** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.55** ქართული მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **14.25** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის საშობაო სუფრა" **15.30, 04.17** დოკ/ფ **16.30** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** ქართ. ტ/სერ. "**დათა თუთაშხია**" **22.30** ტ/სერ. "**მედიჩები ფლორენციის მბრძანებლები**" **23.30** მხ/ფ "**ქალი და მამაკაცი**" **05.17** მხ/ფ "**ლეონდა ზორროზე**" (კ.ზეტა-ჯონსი)

06.30 სერ. "**ფიცი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ბჟუნილი**" **17.45** სერ. "**სოდვილი**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.30** სერ. "**დიდი შესვენება**" **23.00** იუმორინა **01.00, 03.00, 05.00** მხ/ფ

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **17.10**სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** ჩემი სამზარეულოს წესები **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"**48 00.00** მხ/ფ კონცერტი "კინომუსიკა (მემანიშვილი)" **01,50** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv ეირვეელი **8.00, 10.00, 14.00, 17.50, 20.00 0.00, 2.00,** მხ/ფ **12.00** სერ. "რამონზე შეყვარებული" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. "**ჯაშუში**" **11.00** მხ/ფ "**გენიოსი ბავშვები**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 6**" **17.00** სერ. "**ქუანტიკო**" **20.00** სერ. "**ჯაშუში 2**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.30** მხ/ფ "**არმაგედონი**" **02.00** მხ/ფ "**მაშველი**" **04.30** მხ/ფ "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**" **06.30** მხ/ფ "**გენიოსი ბავშვები**"

08.00 ანანდა **08.10** სისი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.40** ანიმაცია **13.30** ბენეფისი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.00** ფაბრიკა **17.30** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფაქტო **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** მხ/ფ **3.00** კონცერი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.5967
- ევრო — 3.1285
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5157
- 100 რუსული რუბლი — 4.5524

ამინდის პროგნოზი 8 იანვრისთვის

28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოცბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი



9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

მელანია ტრამპის მოთხოვნით თეთრ სახლთან მაგნოლიას მოჭრიან

აშშ-ის პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა განკარგულება გასცა, თეთრი სახლის მახლობლად მდებარე ბებერი ხე, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იქნა დარგული, მოჭრან.

– ორსაუკუნოვანი მაგნოლია მთლიანად ხელოვნურ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული, – ნათქვამია აშშ-ის ეროვნული დენდრარიის მოხსენებაში.

მოხსენებასთან გაცნობისა და თეთრი სახლის თანამშრომლებთან გასაუბრების შემდეგ მელანია ტრამპმა მაგნოლიის მოჭრის დავალება გასცა. ამასთან, მის მოხერხილ ნაჭრებს შეინახავენ.

ხე 1828 წელს, პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონის დროს დაირგა. არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე დღეში ჯექსონის მეუღლე გარდაიცვალა. მისი ხსოვნის პატივსაცემად მან განკარგულება გასცა, თეთრ სახლთან მისი მეუღლის საყვარელი ხის, მაგნოლიის ნერგი დაერგათ.

დევიდ ბოუის ვოლვო რეკორდულ თანხად გაიყიდა

ბრიტანელი მომღერლის დევიდ ბოუის ვოლვო 262ც შვეიცარიაში 216 ათას დოლარად გაიყიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

კლასიკური ავტომობილების შვედურმა ვებგვერდმა აღნიშნულ თანხას ამ მოდელისთვის რეკორდული უწოდა.

ამ მოდელის მანქანებს იტალიური ატელიე ბერტონეს სპეციალისტები აწყობდნენ ვოლვო 200 სერიის საფუძველზე. 262ც შვედური მარკის პირველი ლუქსის კუპე გახდა.

ცნობილი როკმუსიკოსის მოდელი 1981 წელს იქნა გამოშვებული. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფასზე, ვინაიდან ამ წლის შემდეგ მოდელი 262ც წარმოებიდან მოიხსნა. ბოუიმ მანქანა საკუთარ ნამდვილ სახელზე დევიდ რობერტ ჯონსზე დაარეგისტრირა და მისით 1998 წლის ჩათვლით სარგებლობდა.

ამერიკაში ტურისტები გაყინული ნიაგარის ჩანჩქერის სანახავად მიდიან



ჩრდილოეთ ამერიკაში რეკორდულად დაბალმა ტემპერატურამ აშშ-ში ნიაგარის ჩანჩქერის გაყინვის ილუზია გამოიწვია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, „გაყინული ჩანჩქერის“ ფოტოსურათები მედიაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით იბეჭდება.

თუმცა აღსანიშნავია, რომ წყლის დინება არ გაყინულა, წყლის წვეთები ყინულად ჰაერშივე ფორმირდება, ასევე, როდესაც ქვებსა და ირგვლივ ყველაფერზე ესხმება. ტურისტები ნიუ იორკის შტატში მეზობელი ოლქებიდან ჩადიან, რათა უნიკალური სანახაობით დატკბნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:
– დედიკო, მართლა ძალიან გიყვარვარ?
– რა თქმა უნდა, შვილო.
– მაშინ ცოლად იმ ბიძიას გაჰყევი, ქუჩის კუთხეში ნაყინით რომ ვაჭრობს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– სიზარმაცის შემოტევა თუ გემართება?
– არა, დროდადრო აქტივობის შემოტევას ვგრძნობ.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– მე შენ მიყვარხარ!
– და რა, უნდა ავტირდე?
– თანაგრძნობა მაინც უნდა გამოხატო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ფილმი „ოუშენის 11 მეგობარი“ ნახე? და რა აზრის ხარ?
– სიმართლისგან შორსაა.
– რას გულისხმობ?
– საიდან მოზრდილ ადამიანს ამდენი მეგობარი?

●●●

გეოგრაფიის მასწავლებელი გიგის ეკითხება:
– რა იცი პანამის არხის შესახებ?
– ჩვენს ტელევიზორში მასეთი არხი არ არსებობს.

●●●

პატარა გოგონა, რომელიც პირველადაა ქორწილში, დედას ეკითხება:
– დედიკო, პატარძალს სულ თეთრები რატომ აცვია?
– იმიტომ, რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე შესანიშნავი დღეა.
– და სიძეს სულ შავები რატომ აცვია?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მუშაობასა და გმირულ, თავდადებულ შრომას შორის?
– ეს სულ ადვილი ასახსნელია ბეკონიანი ერბოკვერცხის მაგალითზე.
– ეგ როგორ?
– ამ კერძზე ქათამმა უბრალოდ წაიმუშავა, ხოლო ღორმა თავი მსხვერპლად შესწირა.

●●●

კოკისპირული წვიმაა. უცბად კარზე კაკუნი ისმის. კაცი კარს აღებს, ხედავს, სიდედრი დგას და ეუბნება:
– ასეთ ამინდში ქუჩაში რა გინდათ? სახლში წადით!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გოლდენ სტეიტი იგებს და იგებს

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ზედიზედ 2 მატჩი გამართა, ორივე სტუმრად და ორივე მოიგო. „მეომრებმა“ ჯერ ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი დაამარცხეს. ოკლენდელები ტეხასში დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე მყოფ მდევარ ჰიუსტონ როკეტსს დაუპირისპირდნენ.

ჰიუსტონი ბოლომდე იბრძოდა და მხოლოდ ბოლო 2 წუთში დანებდა, როცა სტეფ კარიმ და დრეიმონდ გრინმა მორიგი ქულები მიითვალეს და გოლდენ სტეიტის უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდეს. საბოლოოდ კალიფორნიელებმა 124:114 მოიგეს და კონფერენციაში ლიდერობა გაიმყარეს. ეს გახლდათ გოლდენ სტეიტის მიჯრით მე-9 გასვლითი გამარჯვება, რაც მიმდინარე სეზონში სარეკორდო მაჩვენებელია.

როგორც წესი, სასტარტო ხუთეულში იყო ზაზა ფაჩულია. ქართველმა ცენტრმა მოედანზე მთლიანობაში 14 წუთი გაატარა და ისე მოაგროვა ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა, ბურთი არ დაუკარგავს. ზაზამ 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ოკლენდელებს სტეფ კარიმ 29 ქულით და 9 მოხსნით ულიდერა. 28 ქულა მოაგროვა კლეი ტომპსონმა, ხოლო დრეიმონდ გრინმა მორიგი სამმაგი დუბლი გაიფორმა – 17 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი. თამაშში მონაწილეობა არ მიუღია კევინ დიურანტს, რომელსაც მარცხენა ფეხის კუნთი აწუხებს.

გოლდენ სტეიტმა მიმდინარე სეზონში ზედიზედ მეათე საგარეო შეხვედრა ლოს ანჯელესში, კლიპერსთან მოიგო – 121:105. კევინ დურანტის არყოფნაში, ოკლენდელთა შორის საუკეთესო კვლავ სტეფ კარი იყო, რომელმაც 45 ქულით შედეგიანობის პირადი სასეზონო რეკორდი დაამყარა. სტეფმა ეს შედეგიანობა სამი პერიოდის განმავლობაში, 30 წუთის განმავლობაში აჩვენა და 8 სამქულიანი ჩააგდო. მიჯრით მეორე სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა „მეომართა“ მძიმე ფორვარდ დრეიმონდ გრინს (9 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი).

სასტარტოში მყოფმა ზაზა ფაჩულიამ 14 წუთში 4 ქულა (ექვსიდან 2 ორქულიანი ჩააგდო), 5 მოხსნა (ერთი შეტევისას) და ერთი ჩაჭრა შეასრულა.

გოლდენ სტეიტს 32 მოგებითა და 8 წაგებით დასავლეთ კონფერენციის ცხრილში სალიდერო პოზიცია უკავია. სამმატჩიანი ტურნეს შემდეგ ოკლენდელები შინ ბრუნდებიან და მომდევნო მატჩს საკუთარ პარკეტზე დენვერ ნაგითსთან ჩაატარებენ.

ბასკონიის კაპიტანი თორნიკე შენგელია რომ ამ გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია, ცხადზე უცხადესია. უკვე მერამდენე მატჩია, ბასკონიელთა მოგებისა თუ წაგების მიუხედავად, ქართველი ფორვარდი თავის გუნდში ყველაზე შედეგიანია. არ აქვს მნიშვნელობა, ვინაა მეტოქე – ცსკა, ბარსელონა, რეალი თუ...

ევროლიგის ბოლო ტურში ბასკონიელებმა ქართველი ფორვარდის წინამძღოლობით ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ევროლიგის გასული სეზონის ჩემპიონ ფენერბაჰჩეს და ბოლო წუთებზე, დასანანად წააგეს – 74:79.

შეხვედრა სტამბოლში გაიმართა და, ცხადია, ფენერბაჰჩეს დარბაზის სრული მხარდაჭერა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბასკონიელებმა პირველი ნახევარი მოიგეს და ლიდერობას ბოლო პერიოდამდე არ თმობდნენ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ჯოსვოხდი ა



თარაზულად: 1. ფრანგული არაყი; 6. ყუბანის კაზაკთა ჯარისკაცი მეფის რუსეთის დროს; 7. შუამარბი ფეხბურთში (მოძვ); 9. ძველფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 10. შუშა; 11. საჯიგველი (ცივი იარაღი); 13. ტროპიკული პალმა მოკლე ტანითა და გიგანტური ფოთლების ვარჯით; 15. თმის იმიტაცია; 17. მატყლის შემცვლელი ხელოვნური ბოჭკო; 18. იაპონელთა სამოსელი; 19. ყველაფრისადმი გულგრილობა; 20. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

შვეულად: 1. პატარა არია; 2. ქრისტეს გამცემი; 3. ჟილეტის ქვეშა გახამებული გულისპირი; 4. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი მბზინავი ზედაპირით; 5. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 8. ველური ცხვარი; 9. მოძღვრება მღვდელმსახურების წესების შესახებ; 12. სურათი ზღვის ხედით; 14. სახელმწიფო ევროპაში; 16. ... გურგულია.

შეადგინა ოლივერ კოხიამ